პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის მე-40 წელი
№ 62 (11673)
სამშაბათი, 15 მარტი, 1960 წ.
ფასი 20 კაპ.

# ლენინურ შრომითს ვახტზე

## გორებად დგება ქვანახშირი

ლიანდაგზე მწყობრად მისრიალებენ ქვანახშირით, ფუჭი ქანით, ხე-ტყითა და სხვა დამხმარე მასალებით დატვირთული საშახტო ვაგონები.

მთებთან ჭიდილში იგრძნობა მეშახტეთა რკინისებური ნებისყოფა და გამძლეობა, სიცოცხლის მჩქეფარება...

კაპიტალურ, კვერშლაგისა და საველე საზიდი შტრეკის გავლით პირველი საექსპლოატაციო უბნის სამთო გამონამუშევრებში მოვხვდით. გზაზე ჭმუხი ახალგაზრდა შემოგვიერთდა. იგი უბნის უფროსი ანდრო ჩიჩხიანია.

— ეს უბანი, — გვეუბნება შახტის უფროსი მ. ხვთისიევი, — წინათ ჩამორჩენილთა რიგებში იყო, შვიდწლედის პირველი წლის დავალება კი 110 პროცენტით შესრულა, უბნის კოლექტივი უფრო კარგ მაჩვენებლებს აღწევს შვიდწლედის მეორე წელს.

ლავასთან მისულებს მნგრეველები შემოგვხვდნენ. გავეცანით.

ბრიგადირი ანდრო მსხვილაძე პირველი გაგანოველია ახალციხის შახტებში. ახლა მაჩვენებლებს არ იკითხავთ? წინათ ბრიგადა 88-92 პროცენტით ასრულებდა დავალებებს, ახლა კი მოწინავეა, შარშან ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 1.500 ტონა ქვანახშირი მისცა სამშობლოს. მიმდინარე წლის ორი თვის დავალება ვადამდე გადაჭარბებით შესრულა.

შრომაში მისაბაძ მაგალითს იძლევიან ამ ბრიგადის მნგრეველები: პ. ჩოლანი, ი. აბრამიშვილი, ა. ცურმუტიანი და სხვები, რომლებიც ყოველდღიურად გეგმის გადაჭარბებით 2-3 ტონა ქვანახშირს ანგრევენ...

გამონამუშევრის ჭერსა და საგებს შორის ხის ბოძებს დგამენ გამმაგრებლები ა. ხარაიშვილი, ა. მელოვი, ა. ავეტიკიანი და ს. ლომიძე. აქვეა ბრიგადირი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ნოვატორი მეშახტე ბიკენტი ტეფნაძე. მისი წინადადებით შახტში ფართოდ დაინერგა ხის სამაგრი მასალების ხელმეორედ გამოყენება, რაც ყოველთვიურად 30-40 კუბმეტრი ხის მასალის ეკონომიას იძლევა.

ქვანახშირის ახალი საბადოს — დასავლეთის ფრთის საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის სამთო-მოსამზადებელი გამონამუშევრები სწრაფი ტემპით გაჰყავს გამყვანთა კომუნისტური შრომის ბრიგადას, რომელსაც კომუნისტი სტეფანე აფრიამაშვილი ხელმძღვანელობს.

წინათ აქ ყოველთვიური წინსვლა 25 გრძივ მეტრს არ აღემატებოდა. მოწინავე გამოცდილების დანერგვით, სამთო მექანიზმების რაციონალური გამოყენებით ახლა ყოველთვიური წინსვლა 84-85 მეტრს აღწევს.

ასეთი გამართული მუშაობის შედეგია, რომ ბრიგადა უკვე აგვისტოს ანგარიშში მუშაობს, ხოლო თითოეული გამმაგრებლის საშუალო თვიური გამომუშავება 2.500-3.000 მანეთს შეადგენს.

შახტში არც ერთი უბანი, ცვლა და ბრიგადა არ არის ჩამორჩენილი.

უახლოეს დროში შახტში განხორციელდება ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი. ავტომატიზებული იქნება შახტის საკომპრესორო მეურნეობა და ელექტროქვესადგური, ჭაურის გალიიდან ვაგონების მიღება-გაშვება, მოეწყობა ფუჭი ქანის გამტვირთავი საჰაერო-საბაგირო გზა, განხორციელდება შახტის წყალსატუმბის, ვენტილატორისა და ამწევი მანქანის ავტომატიზაცია. ეს № 1 შახტის კოლექტივს საშუალებას მისცემს მკვეთრად გაზარდოს ქვანახშირის ამოღება, შეამციროს პროდუქციის თვითღირებულება.

**ვ. ხვადაძე,**
„კომუნისტის" საკ. კორ.

ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას!

ვ. ულიანოვი (ლენინი)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

# გახანგრძლივებული დღის სკოლების ორგანიზაციის შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი ჩვენს ქვეყანაში გახანგრძლივებული დღის სკოლების ორგანიზაციის შესახებ და მიიღეს შესაბამისი დადგენილება.

იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო გაუმჯობესდეს ბავშვთა საზოგადოებრივი აღზრდა და გაძლიერდეს ოჯახისადმი დახმარება ამ საქმეში, გადაწყდა სკოლა-ინტერნატების როგორც უმაღლესი ტიპის სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ქსელის განვითარებასთან ერთად ბავშვებისა და მოზარდებისათვის შეიქმნას ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფლებში გახანგრძლივებული დღის სკოლები, რომლებშიც ბავშვები იქნებიან პედაგოგთა მეთვალყურეობით მთელი დღის განმავლობაში.

დაწესდა, რომ გახანგრძლივებული დღის სკოლები გაიხსნება მოკავშირე რესპუბლიკებისა (რომლებსაც საოლქო დაყოფა არა აქვთ) და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო და საქალაქო (ქალაქების მოსკოვისა და ლენინგრადის) საბჭოების აღმასკომების, აგრეთვე გზათა სამინისტროს გადაწყვეტილებებით.

გახანგრძლივებული დღის სკოლები, როგორც წესი, შეიქმნება I-VIII კლასების მოსწავლეთათვის და განლაგდება ამჟამად არსებულ ან ახლად აშენებულ სასკოლო შენობებში იმ პირობით, რომ ამ სკოლების გახსნა არ გამოიწვევს მეცადინეობის ცვლიანობის გადიდებას მოცემული ქალაქის თუ სოფლის სკოლებში.

გახანგრძლივებული დღის სკოლების მოსწავლეები დღეში ორჯერ მიიღებენ ცხელ საჭმელს მშობელთა სახსრებით, ისევე როგორც ეს ხდება საბავშვო ბაღებში, სადაც ბავშვები დღისით იმყოფებიან.

I-II კლასების მოსწავლეთა და სუსტი ჯანმრთელობის ბავშვთათვის გახანგრძლივებული დღის სკოლებში მოეწყობა დღის ძილი.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უფლება მიენიჭათ საჭიროების შემთხვევაში ბავშვთა კვების საფასურის გადახდისაგან გაათავისუფლონ გახანგრძლივებული დღის სკოლების მოსწავლეთა საერთო რიცხვის დაახლოებით 25 პროცენტი, აქედან დაახლოებით 10 პროცენტი სავსებით და დაახლოებით 15 პროცენტი — კვების საფასურის ოდენობის ნახევრამდე.

გაკვეთილების შემდეგ ბავშვებთან მუშაობისათვის გახანგრძლივებული დღის სკოლებში დაწესებულია აღმზრდელთა თანამდებობები. ამ სკოლების აღმზრდელებზე ვრცელდება ის შეღავათები და უპირატესობანი, რაც დაწესებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთათვის.

გახანგრძლივებული დღის სკოლების შესანახი ხარჯები, აგრეთვე მოსწავლეთათვის მიცემული კვების შეღავათების ხარჯები დაიფარება მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტიდან და გზათა სამინისტროს ხაზით განათლებისათვის გათვალისწინებული ასიგნობებიდან. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, გზათა სამინისტროსა და „ცენტროსოიუზს" დაევალათ განახორციელონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ, გახანგრძლივებული დღის სკოლებში მოსწავლეთა ცხელი საჭმლით კვების მოწყობას.

კოლმეურნეობებს რჩევა მიეცათ მონაწილეობა მიიღონ გახანგრძლივებული დღის სკოლების ორგანიზაციაში, რომლებშიც ისწავლიან კოლმეურნეობების წევრთა შვილები, აგრეთვე მონაწილეობა მიიღონ თავიანთი სახსრებით ამ სკოლების დამატებით მომსახურე პერსონალის (გარდა ადმინისტრაციული და აღმზრდელი პერსონალისა) შენახვაში და მოსწავლეთა კვების ხარჯებში.

ამ დადგენილების მოქმედება ძირითადად ვრცელდება გახანგრძლივებული დღის ჯგუფებზეც, რომლებიც ეწყობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში.

## ჯილდო აღგვაფრთოვანებს

დიდი გამოცოცხლება იგრძნობა ახლა დუშეთის რაიონის სოფელ მლეთში, რომელიც კავკასიონის მაღალ მთებში მდებარეობს. მიუხედავად მკაცრი ზამთრისა, წარმატებით მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრება, კარგი ამბები მოდის ყიზლარის საზამთრო საძოვრებიდან, სადაც ჩვენი კოლმეურნეობის ცხვარი იმყოფება. იქ უკვე დაიწყო დოლი.

სასახელო წარმატებებს აღწევენ მწველავთა კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრები. დადგნენ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე, მწველავებმა ნინო სეთურიძემ, ელ. ბურდულმა, ნ. ბუთხუზმა, ქ. ბურდულმა, ნ. სუნტიძემ, ნ. ჯალაიძემ, თ. ქუმსიაშვილმა და სხვებმა იანვარ-თებერვალში დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება. მიიღეს გაცილებით მეტი რძე, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში.

ჩვენი სოციალისტური ვალდებულებაა წელს თითოეულ საფურაჟე ძროხაზე მივიღოთ 2.200 კილოგრამი რძე. ამ ვალდებულებას აუცილებლად შევასრულებთ.

გაზეთმა ამ დღეებში სასიხარულო ამბავი მოიტანა. ჩვენი ქვეყნის სხვა მოწინავე ქალებთან ერთად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით ლენინის ორდენით დაჯილდოებულია ჩვენი ბრიგადის ერთ-ერთი ღირსეული წევრი ნინო სეთურიძე. საპატიო ჯილდოთი აღფრთოვანებულმა წარჩინებულმა მწველავმა ვალდებულება იკისრა წელს მნიშვნელოვნად გაადიდოს წველადობა შარშანდელთან შედარებით.

**ვ. თოხაძე,**
კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

## გეგმა — გადაჭარბებით

**ტყიბული.** (საკ. კორ.). კარგად დაიწყეს შვიდწლედის მეორე წელი ტყიბულელმა მეცხოველეებმა. მათ გადაწყვიტეს წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 500 ტონა ხორცი — 2,2-ჯერ მეტი, ვიდრე გასულ წელს.

დიდი ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის მზადების დღეებში თითქმის ყოველი დღე აქ შრომითი გამარჯვებით აღინიშნება. მაგალითად, სოჩხეთის მილიონერმა კოლმეურნეობამ და მისმა წევრებმა სახელმწიფოს მიყიდეს 20,8 ტონა ხორცი, რითაც 102, 8 პროცენტით შეასრულეს წლიური დავალება.

**ფოთი.** (საკ. კორ.). პატარა ფოთის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ჩაება ვ. ი. ლენინის დაბადების 90-ე წლისთავისა და საბჭოთა საქართველოს მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში და წარმატებით იბრძვის ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

პატარაფოთელები შარშანდელთან შედარებით წელს სამჯერ გაადიდებენ ხორცის წარმოებას, სახელმწიფოს ჩააბარებენ 2.780 ცენტნერ ხორცს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.000 ცენტნერისა, ხოლო ოთხი თვის დავალებას შეასრულებენ ლენინის დაბადების 90 წლისთავისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

# ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ განიხილეს საკითხი ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების შესახებ. მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საბინაო მშენებლობა საქართველოს დედაქალაქში ამ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა. 1957-1959 წლებში ქალაქში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 313 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც აღემატება საბინაო მშენებლობის მოცულობას წინა 11 წელიწადში (1946-1956 წლები). ამ წლებში საცხოვრებელი ფართობი მიიღო 11.600 ოჯახმა, მათგან დაახლოებით 9 ათასმა ოჯახმა ბინები მიიღო ახლადაშენებულ სახლებში.

ამასთან ერთად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ აღნიშნეს, რომ ქალაქ თბილისში ბინების აღრიცხვისა და განაწილების საქმეში არის დიდი ნაკლოვანებები და სერიოზული დარღვევები. საქალაქო საბჭოს აღმასკომის, რაიონული საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და უწყებების მიერ საცხოვრებელი ფართობის განაწილების დროს ხშირად უხეშად ირღვევა რიგითობის პრინციპი, უგულებელყოფილია საჭიროების ოდენობა, მუშაკის შრომითი და საზოგადო საქმიანობა. ხშირად ცალკეული პირები მოკლე ხნის განმავლობაში რამდენჯერმე იცვლიან ბინებს, ისე რომ ეს არ არის გამოწვეული განსაკუთრებული საჭიროებით.

სწორი არ არის წესი, როცა თითქმის მთელ საცხოვრებელ ფონდს თავიანთი შეხედულებისამებრ ანაწილებენ საქალაქო საბჭოს აღმასკომი. სამინისტროები და უწყებები, რომელთა აპარატებს ყოველთვის არ შეუძლიათ სწორად გაითვალისწინონ საჭიროების ოდენობა და კონტროლი გაუწიონ რიგითობის პრინციპის ზუსტად დაცვას. გარდა ამისა, განაწილების ასეთი წესი ქმნის ისეთ ვითარებას, რომელიც ხელს უწყობს მცდარ, არაობიექტურ გადაწყვეტილებათა მიღებას.

საბინაო ფონდის განაწილების ასეთი წესის დროს ფართო საზოგადოებრიობა ფაქტიურად ჩამოცილებულია ამ დიდმნიშვნელოვანი სასიცოცხლო საკითხის გადაჭრას, კონტროლს ვერ უწევს რიგითობის პრინციპების დაცვას, რის გამო შედგენილ სიებს, არსებითად, ფორმალური ხასიათი აქვს. ყოველივე ეს იწვევს მშრომელთა სამართლიან საყვედურსა და საჩივრებს.

მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში არის ფაქტები, რომ ირღვევა დებულება პროფკავშირის საფაბრიკო, საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1958 წლის 15 ივლისის ბრძანებულებით, საცხოვრებელი ფართობის განაწილების მხრივ.

საქალაქო კომისია და საქალაქო საბჭოს აღმასკომი იჩენენ შეუწყნარებელ ლიბერალიზმს, ზოგჯერ აკმაყოფილებენ სრულიად უკანონო თხოვნასა და შუამდგომლობას ცალკეული მოქალაქეებისათვის ბინების მიცემის შესახებ. შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ ცალკეული ამხანაგები ახალი ბინების მიღების შემდეგ არ აბარებენ ძველ ბინებს რაიაღმასკომების განკარგულებაში.

მუნიციპალური, კომუნალური და საუწყებო-ფონდების სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობის მეტი ნაწილი რაისაბჭოების აღმასკომებისათვის გადაცემის ნაცვლად სამინისტროთა და უწყებათა განკარგულებაში რჩება.

დარღვევები ბინების განაწილებაში იწვევენ მოქალაქეთა ურწმუნობას, რომ ისინი რიგის მიხედვით მიიღებენ საცხოვრებელ ფართობს, აიძულებენ მათ წერონ მრავალი განცხადება და დაკარგონ ბევრი დრო მათთვის ბინების მიცემის საკითხების შესახებ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში სიარულზე.

ქალაქში დღემდე არ არის მიღწეული საბინაო მშენებლობის ცენტრალიზაცია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის გამგებლობაში. ჯერ კიდევ არის შემთხვევები არასწორი მშენებლობისა. ხშირად მშენებლობა წარმოებს არა დიდ მასივებზე, არამედ დაქსაქსულია მრავალსამშენებლო მოედანზე, რაც არ იძლევა შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას მშენებლობის ინდუსტრიული მეთოდები.

ქალაქ თბილისში საცხოვრებელი ფართობის აღრიცხვისა და განაწილების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით დასახულია შემდეგი ღონისძიებანი:

მიმდინარე წლიდან მთელი საცხოვრებელი ფართობი (1960 წელს სულ ცოტა 100 ათასი კვადრატული მეტრის რაოდენობით) ახლადაშენებულ სახლებში, რომლებიც აგებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გაცემული სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე, გადაეცემა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს რაიონული საბჭოების აღმასკომებს შორის გასანაწილებლად, რათა იგი მიეცეს მოქალაქეებს რიგითობის სიების მიხედვით და მათი საჭიროების, შრომითი და საზოგადო საქმიანობის გათვალისწინებით. რაისაბჭოების აღმასკომებმა ასეთივე წესით მისცენ მოქალაქეებს კომუნალური და საუწყებო ფონდების სახლებში განთავისუფლებული საცხოვრებელი ფართობი.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა ერთი თვის ვადაში გაანაწილოს საცხოვრებელი ფართობი იმ სახლებში, რომლებიც ქალაქ თბილისში შენდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ გამოყოფილი სახელმწიფო კაპიტალური დაბანდების ხარჯზე და რომლებიც საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 1960 წელს, რაიონული საბჭოების აღმასკომებს შორის, ამასთან გაითვალისწინოს მცხოვრებთა გადასახლება ძველი და ავარიული სახლებიდან, ბარაკებიდან, რომლებიც უნდა დაინგრეს, სარდაფებიდან, აგრეთვე სკოლებიდან და სხვა შენობებიდან. თანახმად სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა, როგორც წესი, აკრძალულია საცხოვრებელი სახლების მშენებლობა ქალაქ თბილისის ცენტრალურ ნაწილში, თუ ეს გათვალისწინებული არ არის ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმით, და მშენებლობა თავმოყრილი უნდა იქნას მხოლოდ კომპლექსური განაშენიანების მასივებზე ნავთლუღში, საბურთალოსა და სხვა რაიონებში. დასახულია კომპლექსური საბინაო მშენებლობის მასივების კეთილმოწყობის გაძლიერების ღონისძიებანი (გზების კეთილმოწყობა, წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროქსელის გაყვანა და სხვ.).

სამინისტროთა და უწყებათა, საწარმოთა და სახელმწიფო ორგანიზაციათა, აგრეთვე საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციათა და ნებაყოფლობით საზოგადოებათა ხელმძღვანელებს დაევალათ წარადგინონ საცხოვრებელი ფართობის განაწილების სიები ახლადაშენებულ სახლებში (რომელთა შემკვეთები ისინი არიან), აგრეთვე მათი საკუთარი სახსრებით აშენებულ სახლებში, იმ რაიონული საბჭოს აღმასკომის შესათანხმებლად და დასამტკიცებლად, რომლის ტერიტორიაზე ისინი იმყოფებიან.

საცხოვრებელი ფართობის განაწილებას განახორციელებენ მხოლოდ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომები და ერთადერთი დოკუმენტი საცხოვრებელი ფართობის დასაკავებლად ქალაქის საცხოვრებელ სახლებში, მიუხედავად მათი უწყებრივი კუთვნილებისა, იქნება ორდერი, რომელსაც გასცემს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭო.

რაისაბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს ეკრძალებათ მისცენ ბინები მოქალაქეებს, რომლებსაც უკავიათ სანიტარიულ ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებსა და სახელმწიფო ორგანიზაციებს დაეკისრათ მოვალეობა გამოუყონ ახლადაშენებულ სახლებში, რომელთა შემკვეთები ისინი არიან, აგრეთვე საწარმოთა საკუთარი სახსრებით აშენებულ სახლებში, საცხოვრებელი ფართობის 10 პროცენტი თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს რაისაბჭოების აღმასკომებს შორის გასანაწილებლად.

საცხოვრებელი ფართობის განაწილების მასალების მოსამზადებლად ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან იქმნება კომისიები პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაკთა, რაისაბჭოების დეპუტატთა, წარმოების მოწინავეთა და სხვათა შემადგენლობით, რომლებსაც დაამტკიცებენ სესიებზე შესაბამისი საბჭოები. საცხოვრებელი ფართობის განაწილების დროს კომისიებმა და რაიაღმასკომებმა ზუსტად უნდა იხელმძღვანელონ ინსტრუქციით „ქ. თბილისის მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესის შესახებ", რომელიც დამტკიცებულია თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ.

რაიაღმასკომის მიერ დამტკიცებული იმ პირების სია, რომლებიც საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ მიმდინარე წელს, უნდა ეცნობოს საზოგადოებრიობას.

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაევალა საქართველოს პროფსაბჭოსთან შეთანხმებით გადაამუშაოს ინსტრუქცია ქ. თბილისის მოქალაქეთა აღრიცხვაზე აყვანისა და საცხოვრებელი ფართობის მიცემის წესის შესახებ ამ დადგენილების შესაბამისად.

სამინისტროებმა და უწყებებმა, იმ საწარმოთა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებდნენ საბინაო მშენებლობას ქ. თბილისში, ზუსტად უნდა იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1957 წელი) პლენუმის დადგენილებით და გაანაწილონ საცხოვრებელი ფართობი საწარმოებსა და დაწესებულებებში ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის ერთობლივი გადაწყვეტილებით.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის, საქალაქო საბჭოს აღმასკომის ყურადღებას მიაქცევენ სერიოზულ ნაკლოვანებებზე, რომლებიც არის ბინების განაწილების საქმეში, იმაზე, რომ საჭიროა ჯეროვანი წესრიგი დაამყარონ ამ საქმეში და უზრუნველყონ რაიაღმასკომების მიერ საცხოვრებელი ფართობის სწორი აღრიცხვა და განაწილება ქალაქ თბილისის მოქალაქეთა შორის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამის განყოფილებებს, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტსა და ქალაქ თბილისის რაიონულ კომიტეტებს დაევალათ სასტიკი კონტროლი გაუწიონ მიღებული დადგენილების შესრულებას.

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის საფრანგეთში ვიზიტის ვადის გადადება

სსრ კავშირის ელჩმა საფრანგეთში 12 მარტს საღამოს საბჭოთა მთავრობის დავალებით აცნობა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის გრიპით ავად გახდომის გამო მისთვის შეუძლებელია ჩავიდეს პარიზს 15 მარტს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ითხოვა ეს ცნობა გადაეცათ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის და გამოეთქვათ მისი დიდი სინანული იმის გამო, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა სახელმწიფო ვიზიტით ჩავიდეს საფრანგეთს გათვალისწინებულ ვადაზე.

მკურნალი ექიმების დასკვნით გამოჯანსაღებისათვის საჭირო იქნება შვიდიათი დღე. ამასთან დაკავშირებით ნ. ს. ხრუშჩოვმა წინადადებით მიმართა გენერალ დე გოლს გადაიტანოს ვიზიტი ზემოაღნიშნული ვადისათვის.

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სინანულით შეიტყო ეს ცნობა და ითხოვა გადასცენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს მალე გამოჯანსაღების უღრმესად გულწრფელი სურვილი.

შეთანხმდნენ, რომ ნ. ს. ხრუშჩოვის პარიზს ჩასვლის ზუსტი თარიღი დათქმულ იქნება ორ მთავრობას შორის შეთანხმებით, რაც შეიძლება მოკლე ვადაში.

* * *

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პარიზში ჩასვლის თარიღი დანიშნულია 23 მარტს.

სახელმწიფო ვიზიტი, რომლითაც ნ. ს. ხრუშჩოვი საფრანგეთში ჩავა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის გენერალ დე გოლის მიწვევით, 3 აპრილამდე გასტანს.

## სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის წლიურ ვალდებულებათა შესრულება

### 1960 წლის 10 მარტისათვის

პროცენტობით

| | ხორცი (ყველა კატეგორიის მეურნეობებში) ვალდებულების შესრულების პროცენტი | რძე (კოლმეურნეობები და სახელმწიფო მეურნეობები) ვალდებულების შესრულების პროცენტი |
|---|---|---|
| სულ რესპუბლიკაში | 12,8 | 11,2 |
| აქედან: | | |
| ახალქალაქის რაიონი | 9,7 | 7,4 |
| ბოგდანოვკის | 10,1 | 10,6 |
| ახალციხის | 25,2 | 8,4 |
| ადიგენის | 20,8 | 10,6 |
| ასპინძის | 16,6 | 8,6 |
| ხაშურის | 15,2 | 11,7 |
| ქარელის | 16,0 | 9,9 |
| გორის | 6,7 | 9,2 |
| კასპის | 7,5 | 6,7 |
| ბორჯომის | 16,8 | 10,0 |
| საგარეჯოს | 12,0 | 12,6 |
| გურჯაანის | 9,4 | 17,6 |
| სიღნაღის | 6,6 | 12,8 |
| წითელწყაროს | 7,5 | 16,7 |
| თელავის | 10,4 | 11,9 |
| ახმეტის | 14,5 | 11,6 |
| ყვარლის | 8,7 | 13,3 |
| ლაგოდეხის | 18,8 | 20,1 |
| ქ. თბილისი-სამგორის | 6,8 | 11,9 |
| მცხეთის | 7,7 | 14,7 |
| მარნეულის | 7,0 | 8,2 |
| ბოლნისის | 11,4 | 13,4 |
| წალკის | 7,8 | 7,4 |
| დუშეთის | 8,0 | 7,1 |
| თეთრი წყაროს | 16,9 | 9,9 |
| დმანისის | 9,5 | 9,4 |
| თიანეთის | 8,9 | 6,2 |
| ყაზბეგის | — | 9,6 |
| სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი | 12,9 | 8,5 |
| წყალტუბოს რაიონი | 24,0 | 13,7 |
| სამტრედიის | 43,0 | 7,5 |
| წულუკიძის | 28,0 | 12,8 |
| ვანის | 18,0 | 10,6 |
| მაიაკოვსკის | 21,4 | 10,6 |
| ზესტაფონის | 33,6 | 17,1 |
| თერჯოლის | 27,9 | 9,5 |
| ქალაქი ჭიათურა | 31,7 | 11,3 |
| საჩხერის | 43,7 | 13,5 |
| ორჯონიკიძის | 21,3 | 15,7 |
| ტყიბულის | 52,4 | 37,8 |
| ონის | 26,3 | 14,0 |
| ამბროლაურის | 20,0 | 12,5 |
| ცაგერის | 19,3 | 4,6 |
| ლენტეხის | 30,0 | 13,3 |
| აბაშის | 17,1 | 8,2 |
| ცხაკაიას | 13,3 | 9,1 |
| გეგეჭკორის | 18,5 | 14,7 |
| ზუგდიდის | 12,7 | 11,9 |
| ხობის | 15,5 | 9,1 |
| წალენჯიხის | 25,6 | 14,3 |
| ჩხოროწყუს | 24,2 | 11,8 |
| მახარაძის | 27,2 | 22,1 |
| ლანჩხუთის | 21,9 | 24,0 |
| ჩოხატაურის | 37,0 | 41,5 |
| მესტიის | 6,0 | — |
| ქალაქი ფოთი | 7,5 | 8,1 |
| აფხაზეთის ასსრ | 18,0 | 6,6 |
| აჭარის ასსრ | 15,9 | 13,8 |

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო.

**სურათზე:** ლუიზა შენგელია. იგი ახალციხის რაიონის დაბა ვალეს № 1 შახტში ვაგონების გამგორებლად მუშაობს და ყოველდღიურ დავალებებს 120-125 პროცენტით ასრულებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ვ. ი. ლენინი რუბლევოს წყალსატუმბავის მუშებთან 1919 წლის 1 მაისს (კინოკადრი).

(ალბომიდან, რომელსაც გამოსაშვებად ამზადებს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი).

## 1870 — 1960

# გასაოცარი თავმდაბლობა

**სილიბისტრო თოდრია** ეკუთვნის საქართველოს კომუნისტური პარტიის გამოჩენილ მოღვაწეთა რიცხვს. იგი იყო პროფესიონალ რევოლუციონერი და ბოლშევიკური პარტიის წევრი 1902 წლიდან. თოდრია აქტიურ მონაწილეობას იღებდა ამიერკავკასიასა და რუსეთში ბოლშევიკური არალეგალური სტამბების მუშაობაში. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე იგი სხვადასხვა ხელმძღვანელ პარტიულ, საბჭოთა სამუშაოზეა. სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში თოდრია მუშაობდა საქართველოს სსრ ცაკის მდივნად.

**ლენინის**, როგორც რევოლუციური მუშათა კლასის ხელმძღვანელის, შესახებ პირველი ცნობა მივიღე 1901 წლის შემოდგომაზე, ამხ. სტალინის მეშვეობით. მან მომაწოდა საზღვარგარეთ გამომავალი გაზეთი „ისკრა“, მიმითითა შიგ მოთავსებულ ერთ წერილზე, რომელსაც ნ. ლ. ინიციალები ჰქონდა ხელმოწერად, და მითხრა გულდასმით წამეკითხა ეს წერილი, თან მირჩია განსაკუთრებული ყურადღება მიმექცია ამ გაზეთში ნ. ლ-ის წერილებისათვის.

როდესაც 1902 წელს არალეგალურ სტამბაში სამუშაოდ გადავედი, აქ არა მარტო ვკითხულობდი მის წერილებს ამ გაზეთში, არამედ ვაწყობდი და ვბეჭდავდი ისეთ ნაწარმოებებს, როგორიც არის: „რა ვაკეთოთ?“, „აგრარული საკითხი“, „სოფლის ღარიბების მიმართ“...

1905 წლის ნოემბერში მოსკოვიდან ჩავედი პეტერბურგში კრასინთან. საღამოზე მან წამიყვანა ჩვენი ახლად გამოსული ლეგალური გაზეთის „ნოვაია ჟიზნის“ სარედაქციო კრებაზე. აქ დამსწრეთაგან ჩემი ყურადღება მიიპყრეს უმთავრესად გაზეთის ოფიციალურმა რედაქტორებმა, გორკის ცოლმა — ანდრეევის ქალმა და მგოსანმა მინსკიმ, რომლებიც, თანამდებობის გარდა, საუცხოო გარეგნული შეხედულებისაც იყვნენ. კრასინმა მიმიყვანა ერთ შუათანა ტანის წითურ და მელოტ კაცთან და გააცნო ჩემი თავი.

— ვლადიმერ ილიჩ, აი ეს არის ჩვენი სილა!

ამ კაცმა მაგრად ჩამომართვა ხელი და თვალების ჭუტვით ღიმილით შემეკითხა:

— როგორ ცხოვრობთ, როგორ არიან ბიჭები?

მე მივხვდი, რომელ ბიჭებზეც მეკითხებოდა და ვუპასუხე, ძალიან კარგად არიან — მით უმეტეს ასეთი ამბების შემდეგ-მეთქი.

შემდეგ გამომიცხადა, თქვენ ჯერ კიდევ მოგიხდებათ იატაკქვეშ ცდა და ლოდინი, სანამ საქმეები კარგად არ გამოირკვევაო.

ეს მე ვერაფრად მიამა და არაფერი მიპასუხნია. ამით გათავდა ჩვენი ლაპარაკი. მე ის მივიღე არალეგალურ ტექნიკურ მომუშავედ და აზრადაც არ მომსვლია, თუ ლენინი იყო.

1907 წლის თებერვლიდან ვმუშაობდი პეტერბურგში, ჩვენი პარტიის ლეგალურ სტამბაში. მეორე მოწვევის სახელმწიფო სათათბიროში მუშათა კურიიდან დეპუტატად არჩეულ იქნა ალექსინსკი, რომელიც ჩვენი სტამბის კორექტორად ითვლებოდა. არჩევნებზე მან დიდი მემარცხენეობა გამოიჩინა და სურათის გადაღებაც კი არ ისურვა სხვა დეპუტატებთან. არჩევნების შემდეგ ის პირდაპირ ჩვენი სტამბისაკენ გამოეშურა ჩვენთვის ინფორმაციის გასაკეთებლად. როდესაც გაიმართა სახელდახელო მიტინგი და ალექსინსკი ფანჯარაზე შედგა სიტყვის სათქმელად და დაიწყო ლაპარაკი თავისი წვრილი მჭახე ხმით, ამ დროს დამსწრეთა შორის შეიქნა ჩურჩული: — ვლადიმერ ილიჩი, ილიჩი მოვიდა!

მე უკვე ვიცოდი, რომ ლენინს ვლადიმერ ილიჩი ერქვა, მაგრამ სრულებით არ მომგონებია ის ვლადიმერ ილიჩი, რომელსაც წლინახევრის წინათ კრასინმა გააცნო ჩემი თავი „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციაში.

მე ახალმოსული ვიყავი ამ სტამბაში და ყველა იქ მომუშავეს არ ვიცნობდი, ამიტომ გარედან მოსულიც ვერ შევამჩნიე. რომ შევეკითხე ჩემს გვერდში მდგომთ, რომელია ვლადიმერ ილიჩი-მეთქი, მათ მიმითითეს სწორედ იმ კაცზე, რომელსაც უკვე ვიცნობდი, მაგრამ არა ლენინად.

ლენინი მიტრიალ-მოტრიალდა, რაღაცა ჩუმად გადაულაპარაკა ზოგ იქ მყოფთ — სტამბისა და რედაქციის თანამშრომლებს და აღარ დაუცდია ალექსინსკის სიტყვის გათავებისათვის, ისე გავიდა.

აქვე უნდა აღვნიშნო, თუ რა მოცილეობა გვქონდა ერთმანეთში ასოთამწყობებს ლენინის ხელნაწერის გამო, როდესაც მივიღებდით მას ასაწყობად. — პირდაპირ ვგლეჯდით ხელიდან მეტრანპაჟს.

დადგა შავი რეაქციის ხანა, და 1907 წლის დამლევს ლენინი იძულებული შეიქნა საზღვარგარეთ წასულიყო. მისი წინასწარმეტყველება გამართლდა, და ჩვენ კიდევ დიდხანს მოგვიხდა იატაკქვეშ ცდა და ლოდინი, „საქმის გამორკვევამდე“, როგორც მითხრა მან „ნოვაია ჟიზნის“ რედაქციაში.

მხოლოდ 1920 წლის ზაფხულში მომიხდა ამის შემდეგ ლენინთან პირადად შეხვედრა იმავე პეტერბურგში, — მაშინ უკვე პეტროგრადად წოდებულში. ეს მოხდა შემდეგ პირობებში:

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესი გაიხსნა ყოფილი სახელმწიფო სათათბიროს დარბაზში, თავრიდის სასახლეში. ხალხით გაჭედილ დარბაზში, როგორც იტყვიან, ვაშლი ვერსად ჩავარდებოდა. ჩვენ, საქართველოს წარმომადგენლები, ერთად ვიჯექით დარბაზის შუა ადგილას და დაძაბულნი ველოდით ლენინის გამოსვლას, რომელსაც უნდა გაეხსნა საზეიმო სხდომა. ხალხით სავსე სცენაზე ატყდა ტაშის ცემა, რომელსაც მოჰყვა მქუხარე ტაში მთელ დარბაზში. გამოჩნდა ლენინი, რომელიც ამ ტაშს ყურადღებასაც არ აქცევდა. მან სცენაზე წამოიწია წინ და დაათვალიერა დარბაზი, რომლის შუაგულში ვიღაცა შეამჩნია და საჩქაროდ გამოექანა ღიმილით, პირდაპირ ჩვენკენ მოდიოდა. მოვიდა, გადაეხვია მიხა ცხაკაიას, ჩამოგვართვა ხელი ჩვენ, მის გვერდში მჯდომთ, გამოჰკითხა მიხას, — როგორა ხარ, როგორ არის საქმეებიო, იმ წუთშივე გაბრუნდა უკან, ავიდა ტრიბუნაზე და ანიშნა ხალხს, რომელიც ამ ხნის განმავლობაში ფეხზე ამდგარი განუწყვეტლად უკრავდა ტაშს, დაწყნარებულიყო და გახსნა კონგრესის საზეიმო სხდომა.

ლენინის გასაოცარი თავმდაბლობის მაგალითი მაგონდება ისევ პეტროგრადში კონგრესის დროიდან. ზამთრის სასახლის წინ მოედანზე გამართული იყო დიდი მიტინგი. დელეგატები ამაღლებულ ესტრადაზე იდგნენ. ცხელი დღე იყო. ადუღებული სასმელი ცივი წყალი კასრებით იდგა აქა-იქ. ლენინს წყალი მოსწყურებოდა და ერთ ასეთ კასრთან მივიდა დასალევად. ამ დროს ამ კასრიდან თუნუქის სასმისში წყალს ასხამდა თავისთვის ერთი ახალგაზრდა, კომკავშირელების დელეგატი. ლენინს რომ შეხედა, რა თქმა უნდა, პირველად მას მიაწოდა სასმისი, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ! სანამ თვით ახალგაზრდამ არ დალია წყალი, ლენინმა მას სასმისი არ გამოართვა!

1922 წლის მარტში მეთერთმეტე პარტყრილობაზე ვიყავი. მაშინ საქართველოში უკვე ჩასახული იყო ნაციონალ-უკლონიზმი და ამის გარშემო ბრძოლა წარმოებდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ ჰქონდა ასეთი მკაცრი ხასიათი, როგორიც შემდეგ ხანებში მიიღო. ამიტომ უკლონისტებმა და მათმა მოწინააღმდეგეებმა მოვინდომეთ ერთად გვენახა ლენინი და მოველაპარაკებოდით იმ დირექტიული წერილის შესახებ, რომელიც წინა ხანებში გვქონდა მიღებული ცენტრალური კომიტეტისაგან სტალინის ხელმოწერით და რომელსაც უკლონისტები არ ეთანხმებოდნენ.

დანიშნულ დროს პირდაპირ ყრილობის დარბაზიდან გავემართეთ სახკომსაბჭოს თუ რომელიღაც სხვა დაწესებულების სხდომის ოთახში, რომელიც იმავე შენობის ზედა სართულში იყო. თხუთმეტმა თუ ოცმა კაცმა მოვიყარეთ თავი. როდესაც შევედით კაბინეტში, რომელშიც გრძელი მაგიდა იდგა, ლენინი იქ არ იყო, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ შემოვიდა. რადგან ბევრი ვიყავით და ზოგ ჩვენგანს ალბათ პირველად ხედავდა, ხელი ჩამოგვართვა უფრო ნაცნობთ და ხნიერებს. შემდეგ მიგვიწვია დასაჯდომად, თვითონ თავმჯდომარის ადგილას კი არ დაჯდა, ჩვენ მოგვიჯდა გვერდით. სანამ დაჯდებოდა — გადახედა გრძელ მაგიდას, მიტრიალდა კუთხეში მდგომი პატარა მაგიდებისაკენ, აკრიფა საფერფლეები, გადმოიტანა გრძელ მაგიდაზე და მოგვმართა:

— მე არ ვეწევი პაპიროსს, მაგრამ არ მიშლის, როცა სხვები ეწევიან. არ მოგერიდოთ, მოსწიეთ პაპიროსი, ვინც ეწევით!

საქმეზე ლაპარაკს რომ შევუდექით, ა. ნაზარეტიანმა ამოიღო ჯიბიდან და მიაწოდა მას ის წერილი, რომლითაც იყო გამოწვეული ჩვენი მასთან მისვლა. მან გადაათვალიერა წერილი და გამოგვიცხადა, რომ უკვე იცნობს მას და სრულებით ეთანხმება, აზრის გამოცვლას ამ საგანზე არ აპირებს და არ იცის, თუ რაღა უნდა ვილაპარაკოთ მის გარშემო.

ჩვენ ავდექით წამოსასვლელად. გამომშვიდობებისას მან ბოდიში მოიხადა, რომ ასე ჩქარა გვისტუმრებდა და სხვა საკითხებზე არ აგრძელებდა ჩვენთან ბაასს. თან დაუმატა, რომ ყრილობაზე სიტყვის თქმის შემდეგ და საბოლოო სიტყვის მზადების გამო დაღლილობას გრძნობდა. აგრეთვე გვითხრა, უკანასკნელ ხანებში მალე დაღლა და თავის ტკივილი შემომჩნევიაო.

**სილიბისტრო თოდრია.**

---

ქართულად იბეჭდება პირველად.

15 მარტს დღის 4 საათზე სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი, № 29) გაიმართება თეორიული კონფერენცია, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისადმი, თემაზე: „ვ. ი. ლენინი და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის საქართველოში“ (მომხსენებელი დოცენტი ვ. გ. ესაიაშვილი).

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ამხანაგები: გ. გოშაძე, დ. ენუქიძე, ნ. მახარაძე, გ. უვარია, ა. სურგულაძე, მ. ტრასკუნოვი, ს. ჩხარტიშვილი, მ. ცერცვაძე.

## შვიდწლედის ფონდში

# ჩვენი მილიონები

◆ გასულ წელთან შედარებით პროდუქციის წუნი შემცირდება 15 პროცენტით, ელექტროენერგიის ხარჯვა — 150 ათასი მანეთით, მასალებისა და ნახევარფაბრიკატებისა — 480 ათასი მანეთით, ზედნადები ხარჯები — 250 ათასი მანეთით.

◆ ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდება პროდუქციის თვითღირებულება და ზეგეგმითი მოგებიდან რესპუბლიკურ ფონდში გადაირიცხება 1,2 მილიონი მანეთი.

• • •

**შვიდწლედის** ვადაზე ადრე და სრულად განხორციელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს საყოველთაო-სახალხო ლაშქრობას ეკონომიისათვის, ნედლეულისა და მასალების მომჭირნეობით ხარჯვისათვის. ჩვენი ქარხნის კოლექტივი ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა პატრიოტულ მოწოდებას ეკონომიის რესპუბლიკური ფონდის შექმნის შესახებ და იკისრა პირველ წელს შვიდწლედის ფონდში შეეტანა 1,1 მილიონი მანეთი.

თბილისელმა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა მუყაითი, შეუპოვარი შრომით ეს ვალდებულება დიდი გადაჭარბებით შეასრულეს. შარშან შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანეთ 1.894 ათასი მანეთი.

ამ წარმატებაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით მოწინავე მუშებს, ნოვატორებს, რაციონალიზატორებს, რომლებიც დაუცხრომლად იბრძვიან ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოების გამოუყენებელი რეზერვების ამოქმედებისათვის. შარშან წარმოებაში დაინერგა 149 რაციონალიზატორული წინადადება, რამაც ქარხნის კოლექტივს 368 ათასი მანეთი დაუზოგა.

განსაკუთრებით მაღალ შედეგს მივაღწიეთ ფერადი ლითონების ეკონომიური ხარჯვის საქმეში. მოძრავი შემადგენლობის სათადარიგო ნაწილების დასამზადებლად ქარხანა ყოველწლიურად ხარჯავდა ათობით ტონა ძვირფას კალისებურ ბრინჯაოსა და ბაბიტს, რომელთა ყველაზე ეფექტური შემცვლელია თუთია, რომელიც ბრინჯაოზე ორჯერ და ბაბიტზე ექვსჯერ იაფია. ახლა ამ შემცვლელს მასობრივად ვიყენებთ დეტალების ჩამოსასხმელად, რაც წლიურად 500 ათასი მანეთის ეკონომიას გვაძლევს. კარგ ეკონომიურ ეფექტს გვაძლევს აგრეთვე დეტალებისა და ინსტრუმენტების გარსული დაყალიბების პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა ორპოზიციურ ნახევრადავტომატურ დანადგარზე.

სამსხმელო საამქროში დავნერგეთ მუხრუჭის ხუნდების დაყალიბების ახალი ტექნოლოგია. ამით ორჯერ გაიზარდა პროდუქციის გამოშვება. ხოლო როცა საექსპლოატაციოდ გადაეცემა ხუთტონიანი ბოვი კაზმის მექანიზებული მიწოდებით და მოეწყობა კონვეიერი, ცვლაში ხუთჯერ მეტ მუხრუჭის ხუნდს ჩამოვასხამთ.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩვენს ქარხანაში ჯერ კიდევ ბევრია შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გამდიდრების გამოუყენებელი რეზერვი. ქარხანაში არის დიდძალი ძველი, ეკონომიურად არახელსაყრელი, დაბალი წარმადობის მოწყობილობა. რაც საწარმოს მთელი ტექნიკური მოწყობილობის 16.8 პროცენტს შეადგენს. დიდია ხელით შრომის ხვედრითი წონა. თავი ვერ დავაღწიეთ წუნს. შარშან მარტო ათ თვეში საწარმოს კოლექტივმა წუნის გამო მრავალი ათასი მანეთი იზარალა.

არის სხვა ხელისშემშლელი მიზეზებიც, რომლებიც პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებას იწვევს. საყალიბე მიწა, რომელსაც ლითონსამსხმელო საამქრო სურამიდან იღებს, ძვირი ჯდება. ამის გამო საამქროს ყოველთვიურად 4.800 მანეთის გადახარჯვა აქვს. კოქსის უხარისხობით ვიზარალეთ 8.300 მანეთი, ხოლო ქერქოვანი ყალიბების დამზადების რეჟიმის დაუცველობით 7.318 მანეთის ზარალი მოგვივიდა. მარტო იანვარში ლითონსამსხმელო საამქრომ 26 ათასი მანეთი გადახარჯა.

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივს, რომელსაც დიდი რევოლუციური და შრომითი ტრადიციები აქვს, ეს არ ეპატიება. ჩვენ მოვალენი ვართ დავზოგოთ სახსრები როგორც დიდ, ისე პატარა საქმეში. ამ შეგნებით იყო გამსჭვალული ქარხნის კოლექტივი, როცა შვიდწლედის მეორე წელს ახალი ძალით გაჩაღა ბრძოლა ეკონომიისათვის. ჩვენ ვიკისრეთ გასულ წელთან შედარებით წუნი შევამციროთ 15 პროცენტით, შრომატევადობა — 300 ათასი მანეთით, ელექტროენერგიის ხარჯვა — 150 ათასი მანეთით, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების ხარჯვა — 480 ათასი მანეთით, ზედნადები ხარჯები — 250 ათასი მანეთით და შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შევიტანოთ 1,2 მილიონი მანეთი.

პირველ წარმატებებს უკვე მივაღწიეთ. ავითვისეთ და დავნერგეთ ონკანების ჩამოსხმის ახალი მეთოდი. წინათ ამ დეტალს ბრინჯაოსაგან ვასხამდით, ახლა კი მაღალხარისხოვან ონკანებს ვიღებთ თუჯის სხმულისაგან. ეს სიახლე წლიწადში 50 ათას მანეთზე მეტ ეკონომიას მოგვცემს.

წელს სერიოზული მუშაობა უნდა გავწიოთ ტექნიკური პროგრესის დარგში, პროდუქციის გამოშვების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, რათა წარმატებით გავანაღდოთ ნაკისრი ვალდებულებები, თბილისელი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლები ძალღონეს არ დაიშურებენ, რომ თავდადებული, შეუპოვარი შრომის შედეგად დაზოგილი ახალი მილიონებით გაამდიდრონ შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდი.

**გ. მაცაბერიძე.**

თბილისის ი. ბ. სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელი ქარხნის უფროსი.

## ემატოს!

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივი თავდადებით შრომობს პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, შვიდწლედის რესპუბლიკური ფონდის გასამდიდრებლად.

აქ განუხრელად სრულყოფენ და აუმჯობესებენ „163“ მოდელის ლითონდასამუშავებელი სერიული ჩარხების წარმოებას. ქარხანაში საექსპლოატაციოდ გადასცეს ახალი ნაკადური ხაზები დეტალების მექანიკური დამუშავებისათვის, ჩარხების შესაღებავი 2 კონვეიერი. ამან ჩარხმშენებლებს საშუალება მისცა დაახლოებით 18 ათასი მანეთით შეემცირებინათ „163“ მოდელის თვითეული ჩარხის თვითღირებულება.

თბილისელი ჩარხმშენებლები მიღწეულს არ სჯერდებიან. მათი გადაწყვეტილებაა წელს ზეგეგმითი დანაზოგით რესპუბლიკურ ფონდში შეიტანონ 0,5 მილიონი მანეთი.

## რას გვასწავლის ლიხნელთა გამოცდილება

## შვიდწლედის გზებზე

# ადამიანები და დღეები

**დიდი** ხანია მომწიფდა აზრი, — რომ საჭიროა სოფელი ლიხნი უფრო ძლიერი და მდიდარი გახდეს.

მაგრამ საძებარი ხომ არ არის ამ სიმდიდრის წყაროები?

ამ კითხვაზე ახლა ყველა ლიხნელი კოლმეურნე უპასუხებს: ჩვენს მიწა-წყალზე წინსვლის რეზერვები აურაცხელია, თუმცა ეს რეზერვები და მიწა-წყალი წინათაც იყო.

— საქმე ის არის, — ამბობენ ლიხნელები, — რომ დაქუცმაცებულ, პატარა მეურნეობაში არ გამოდის დიდი საქმე, ბრკოლდება მექანიზაცია, შრომა ჭარბად იხარჯება, ანაზღაურება კი უმნიშვნელოა.

მაშ სად არის გამოსავალი? ამ კითხვაზე ორიოდე თვის წინათ თვითონ ლიხნელებმა სწორად უპასუხეს და საკითხიც სწორად გადაჭრეს. მათ ერთსულოვნად გადაწყვიტეს სოფელ ლიხნში არსებული XIX პარტყრილობის, ლენინის, სტალინის და კალინინის სახელობის კოლმეურნეობები გაემსხვილებინათ, გაეერთიანებინათ. მათს არჩევანს მხარი დაუჭირეს ხელმძღვანელმა ორგანოებმა. და ახლა ამ მშვენიერ სოფელში არის ერთი დიდი კოლმეურნეობა „ლიხნი“.

როცა გადახედავთ ლიხნის ტერიტორიას, რომელსაც გუდაუთის რაიონში აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი მხარე უჭირავს, გული სიხარულით გევსებათ. ამ ვრცელ ველ-მინდვრებს, მთებსა და გორაკებს, ტყეებსა და ბაღვენახებს პატარძალივით მოურთავს ეს სოფელი. ათას ორას კომლს აერთიანებს გამსხვილებული კოლმეურნეობა „ლიხნი“. მის განკარგულებაშია ოთხი ათას ჰექტარზე მეტი მიწა. აქ დიდ მასივებზეა ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურები. ჩაის პლანტაციებს 230 ჰექტარზე მეტი უკავია, ასობით ჰექტარზე ითესება სიმინდი; 49 ჰექტარი ვენახი, 25 ჰექტარამდე ხეხილის ბაღი, 60 ჰექტარი ტუნგო, ციტრუსები და სხვა ძვირფასი კულტურებია გაშენებული ლიხნის მიწაზე.

ახლა ლიხნელები არა მარტო ამ დარგების მკვეთრად განვითარებაზე მსჯელობენ, არამედ წინათ ჩამორჩენილი დიდი დარგის — მეცხოველეობის აღმავლობისთვისაც სერიოზულ ღონისძიებებს სახავენ. ამჟამად კოლმეურნეობას ჰყავს 760 მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი, მათ შორის 200 ძროხა, შვიდასამდე წვრილფეხა პირუტყვი, ორასამდე ღორი, ათას ოთხასზე მეტი ფრინველი, ოთხი ათასი წიწილა, ორმოცი ოჯახი ფუტკარი!

საინტერესოა ვიცოდეთ, რას გვასწავლის ლიხნელთა გამოცდილება.

უწინარეს ყოვლისა, საქმე ეხება გამსხვილებული კოლმეურნეობის შემდგომ სამეურნეო-ორგანიზაციულ განმტკიცებას. ლიხნელებმა კარგად იციან ხელმძღვანელობის ფასი. ამიტომ იყო, რომ მათ ერთსულოვნად გამოუცხადეს ნდობა გამოცდილ მუშაკს, საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერ ორგანიზატორს, სოციალისტური შრომის გმირს გრიგოლ არძინბას.

კოლმეურნეობაში წინათ 28 ბრიგადა იყო. გამსხვილების შედეგად 20 ბრიგადა დარჩა. ბრიგადირებად შერჩეულ იქნენ საქმისმოყვარული, ენერგიული ამხანაგები. გამოცდილი მუშაკები გ. ლაკობა და ი. გარწკია გამსხვილებულ ბრიგადებს ჩაუყენეს სათავეში. მეექვსე და მეცხრე ბრიგადების ხელმძღვანელები ნ. ჩალაძე და ა. ჩაჩიბაია საქმის ცოდნით უძღვებიან მინდვრის საქმეს, კოლმეურნეობაში ავტორიტეტით სარგებლობენ. კარგად არის აწყობილი მეორე და მთელი რიგი სხვა ბრიგადების მუშაობაც.

უნარისა და საქმიანი თვისებების მიხედვით შეარჩიეს მერგოლურები. მათგან პირველ რიგში დავასახელებთ გ. ჩალაძეს, ვ. კამლიას, ჯ. მუკბას, ა. გადლიას, ნ. რეხვიაშვილს, ს. აშხაცავას და სხვებს. შვიდწლედის მეორე წლის მხოლოდ ორ თვეზე მეტი გავიდა, მაგრამ გამსხვილებულ კოლმეურნეობაში უკვე იგრძნობა ახლებურად მუშაობის პირველი ნაბიჯები, დიადი ძალა ერთიანი ოჯახისა.

მთავარი მარტო ის კი არ არის, რომ კარგი ხელმძღვანელები ჰყავდეს კოლმეურნეობას, თვითეულ უბანს, არამედ ამასთან ერთად ოდესღაც უცნობი, უბრალო ადამიანები გამოჩნდნენ ახალ ზღუდეებზე და ასეთი ადამიანების რიგები სულ უფრო გამრავლდეს. დღეს გამსხვილებულ კოლმეურნეობაში შრომის ავანგარდში ათობით კი არა, ასობით ადამიანი დგას. როცა ასეთ ადამიანებზე ჩამოვარდება ლაპარაკი, გრიგოლ არძინბა უბის ბლოკნოტს როდი იშველიებს.

ვის არ გაახარებს ვერა არჯენიას, ლუბა გიცბას, შუშა კამლიას, იულია ჩალაძის, თადეოზ მეტრეველის, ვიქტორ ჩალაძის, ანეტა რეხვიაშვილის, ნინო ჩალაძის და სხვათა შრომითი წარმატებები. მთელი სოფელი ქებით იხსენიებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კოლმეურნე ალექსანდრა გერზმავას საქმიანობას. ბევრი ლიხნელი მის შესანიშნავ მაგალითზე სწავლობს კომუნისტურად შრომასა და ცხოვრებას.

რა შესაძლებლობა ჰქონდათ გაერთიანებამდე ცალკეულ კოლმეურნეობებს? აქ შეიძლება ზოგიერთი ციფრის მოშველიება. ლენინის, სტალინის, კალინინის სახელობის კოლმეურნეობების მთლიანი შემოსავალი მცირე იყო: თვითეულისა ერთ მილიონ მანეთს არ აღემატებოდა. ტექნიკის შეძენის საშუალება არა ჰქონდათ. ამასთან ტექნიკის გამოყენების პირობები არ იყო. ეწეოდნენ დიდ ხარჯებს, უმთავრესად ხელით შრომას, ეს კი ვერ ზრდიდა შრომის ნაყოფიერებას.

ასეთი დიდი კოლექტიური მეურნეობა ახლა აფხაზეთში არ არის. პატარ-პატარა მეურნეობაში დიდი თანხა და შრომადღეები იხარჯებოდა აპარატის შესანახად. საკმარისია ითქვას, რომ წინათ ოთხივე კოლმეურნეობაში მარტო საანგარიშო დარგის 18 მუშაკი იყო, ახლა გამსხვილებულ კოლმეურნეობაში არის 8. გამსხვილების შედეგად ადმინისტრაციული აპარატი ოცდაათი კაცით შემცირდა.

როგორი იქნება წელს გამსხვილებული კოლმეურნეობის ეკონომიკა? მათ პირობა დადეს წელს მოკრიფონ რვაას ტონაზე მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ეს კი მილიონობით შემოსავალს მისცემს კოლმეურნეობას. ამას გარდა სახელმწიფოს მიჰყიდიან ათობით ტონა რძეს, ხორცს, ტუნგოს ნაყოფს, ხილს, ყურძენს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. წინასწარი გაანგარიშებით ფულადი შემოსავალი თოთხმეტ მილიონ მანეთს მიაღწევს. საგრძნობლად გადიდდება პროდუქტების წარმოება. კერძოდ, ხორცი წარმოებულ იქნება 392 ცენტნერი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 236 ცენტნერისა. საშუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულ იქნება 1.400 ლიტრი რძე ნაცვლად შარშან მიღებული 1.020 ლიტრისა. საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 25 ცენტნერ სიმინდს მარცვლად...

უფრო რენტაბელური გახდება საკოლმეურნეობათაშორისო ფერმა. წელს 5 ჰექტარზე გააშენებენ ხეხილის ბაღს, 21,5 ჰექტარზე — ვენახს, 12 ჰექტარზე — ჩაის ახალ პლანტაციას, 3 ჰექტარზე — ბამბუკს. ლიხნელებსაც აქვთ ასათვისებელი თავიანთი „ყამირი“ ოთხას ჰექტარზე. ამას ითვალისწინებს შვიდწლედის პროგრამა. მაგრამ ისინი ფიქრობენ ეს დავალება ორი წლით ადრე გაანაღდონ, და სულ მალე ოთხასი ჰექტარი ფართობი დაიფარება ჩაის პლანტაციებით, ხეხილის ბაღებითა და ვენახებით.

რა საშუალებებით ფიქრობენ ლიხნელები ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას? უწინარეს ყოვლისა, შრომის სანიმუშოდ მოწყობით, დისციპლინის განმტკიცებით. ამ საფუძველზე პირველად განახორციელებენ შრომადღეების ყოველთვიური ფულადი ანაზღაურების პროგრესულ მეთოდს. ფართოდ დანერგავენ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციას.

შრომის მოწესრიგებასა და ნაკლოვანებათა სწრაფად გამოსწორებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცოცხალ, კონკრეტულ დახმარებას. დაშორებულ ფერმებსა და ბრიგადებში ხშირად არ ხერხდება მისვლა, მდგომარეობის გაგება: რა უჭირთ და რა ულხინთ. ეს საკითხიც გვარდება. დაიწყო მუშაობა ავტომატური სატელეფონო სადგურის მოსაწყობად. ტელეფონი ექნებათ გადამწყვეტ უბნებს.

გრძელდება მუშაობა სოფლის მთლიანი ელექტროფიკაციისა და რადიოფიკაციისათვის. კოლმეურნეებმა მოითხოვეს ხე-ტყის სახერხი ქარხნის აგება. ამ მხრივაც დაწყებულია მუშაობა. წელს დაამთავრებენ კულტსახლის მშენებლობას. სოფელში ოთხ ადგილას გაიხსნება ბიბლიოთეკა. სამ ადგილას მოეწყობა საბავშვო ბაღი.

— დიდი დრო და თანხა გვეხარჯება, — ამბობს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ არძინბა, — ტრაქტორებისა და საერთოდ ტექნიკის შესაკეთებლად. ამიტომ გადავწყვიტეთ მოვაწყოთ სახელოსნო. საამისოდ კადრები გვყავს. კიდევ ერთი საკითხი გვაქვს გადასაჭრელი: უნდა განხორციელდეს პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესების ღონისძიება. ამასთან ერთად გადავწყვიტეთ სოფელში შევქმნათ პირუტყვის ხელოვნური დათესვლის პუნქტი.

* * *

კოლმეურნეები ნათლად გრძნობენ გამსხვილებული კოლმეურნეობის დიდ უპირატესობას. ამ მოკლე ხანშიც ბევრი კარგი რამ გაკეთდა. კოლმეურნეებს ეძლევათ სესხი სახლების ასაშენებლად. გაივლის დრო და ხვავითა და ბარაქით დამშვენდება განახლებული, აღორძინებული ლიხნი.

**ნ. ჯანჯღავა,**
**ი. გოგბჩია,**
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

**კახური** ვაზის საუკეთესო ჯიშები იგზავნება გასაშენებლად ჩვენი ქვეყნის მევენახეობის რაიონებსა და უცხოეთში. ამ დღეებში გურჯაანიდან რამდენიმე მილიონი ცალი ვაზის რქა მოლდავეთის რესპუბლიკაში და 850 ათასი ცალი ბულგარეთში გაიგზავნა. **სურათზე:** (მარცხნიდან) მოლდავეთის სსრ მევენახეობის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლები პ. კორნოვოი, ვ. მორზაკი და გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ინდაშვილი.

ფოტო ი. ედიგარაშვილისა.
(საქტესის ფოტოქრონიკა).

# სოფლის სიხარული

**წყალი** რა იყო, სასმელი ყალიც არ ჰყოფნიდათ. კოლა?.. სამკითხველო?.. ქიმი?,,,

მაგრამ სჯობს ყოველივე ამაზე ამ ოფლის მაშინდელ გულშემატკივარს ვუსმინოთ. აი რას წერდა იგი „ივე-ის“ ფურცლებზე: „ჩვენი სოფელი“?..

ღმერთმა იცის, როდის მოვალთ გონს ანოჯლები და როდის გვეღირსება ქათული სახწავლებელი და სამკითხველო...

ქუთაისიდან თუმცა სულ ოთხი ვერს მანძილზე იმყოფება სოფელი ბანო, მაგრამ ქუჩები იმდენად გაფუჭებულია, რომ ეტლს არ შეუძლიან გავა, და ამისათვის მკურნალი უნდა ცხენით მოიყვანონ, როცა საჭიროა. 25 მაეთი უნდა სახლში მიართვათ წინდაწინ და მერე იკადრებს ცხენზე შებრძანებას! ამდენის ფულის გაღება გლეხს, ავადმყოფის პატრონს, არ შეუძლიან ა ბევრი ავადმყოფი რჩება უექიმოდ, ღვთის ამარა“.

და განა მარტო ბანოჯა იყო ასეთი? ე გამოიყურებოდა ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის წლებში ბევრი რთული სოფელი.

მაგრამ მიდით ახლა წყალტუბოს რაიონის ამ კეკლუც სოფელში, შეადარეთ ველი და ახალი ბანოჯა, და ამ პატარა ოფლის მაგალითითაც, გული ზღვა სიარულით აგევსებათ.

პარტიის ხელი, ახლისა და კეთილღეობის მშენებელი ხელი, დიდიხანია ამ პატარა სოფელსაც მისწვდა. მისწვდა, და ძველისაგან ამ სოფლის სახელი-ღა შემორჩა.

მიწა რა არის, მიწამაც სახე იცვალა. ერთდროს გვიმრითა და ეკალ-ბარდებით დაფარულ გორაკებზე მარადმწვანე ხალიჩებია შეფენილი. ჩაი ბანოჯლების სიმდიდრისა და სიამაყის წყაროა. გასულ წელს ამ სოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ოცი ტონით მეტი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი ჩააბარა, ვიდრე ეს გეგმით იყო გათვალისწინებული. მეცხოველეებმაც ჩინებულად იმუშავეს, გადამეტებით შეასრულეს წელიწადის გეგმა და თითოეულ ძროხაზე 136 კილოგრამით მეტი რძე მიიღეს.

დადგა ხვავი და ბარაქა... ბევრმა კოლმეურნემ შრომადღეებზე ათასობით მანეთი ფული და ტონობით სიმინდი მიიღო... სიღატაკეს თან გაჰყვნენ მისი თანამგზავრები — უმეცრება, უგზოობა, ისლით დახურული ქოხმახები.

მიდიხართ ახლა ბანოჯის ქუჩებში და თავი ქალაქში გგონიათ. თითქოს სიმაღლეში ალვის ხეებს ეჯიბრებიანო, თვალს იტაცებს კოლმეურნეთა მოხდენილი სახლები.

მოდიხართ ამავე ქუჩებში... მაგრამ, ჰო, არც ცხენი გჭირდებათ და არც ეტლი, არც მამასისხლად დაქირავებული ექიმის მოყვანა. ყოველ ნახევარ კილომეტრზე ბოძზე გაკრული აბრაა: „ავტობუსის გაჩერება“, ყოველ წუთს საითაც გენებოს წაბრძანდით — გინდ ქუთაისში, გინდ წყალტუბოში... თუ გნებავთ ტაქსით, საკუთარი მანქანით ისრიალეთ, ამ კეთილმოწყობილ გზებზე და ქუჩებში.

კი, მართალია, მკურნალი ბევრია ქუთაისსა და წყალტუბოში, თუ გსურს, იქაც უფასოდ გაგიწევენ მომსახურებას, მაგრამ აგერ თქვენებური ექიმები ვარლამ ჩიხლაძე და მიხეილ კუპავა, თქვენებური ექთანები.. ამდენი მედიცინას მუშაკი წინათ მთელ მაზრაში არ იყო.

— როდის გვეღირსება სკოლა და სამკითხველო, — გოდებდა აქაური კაცი.

ერთი კი არა ორი რვაწლიანი სკოლა აშენდა. ახლა კლუბი! კინოდარბაზი! ბიბლიოთეკები, ახალი წყალსადენი... რომელი ერთი ჩამოვთვალოთ.

და კიდევ ერთი ახალი სიხარული — საახალწლოდ ახლადაგებულ შენობაში გაიხსნა საბავშვო ბაღი და ბაგა.

თითქოს ყველაფერი ეს საკმაო უნდა იყოს. მაგრამ ბანოჯელ გლეხკაცს კიდევ უფრო მეტი სურს.

და აქაც, ბანოჯაშიც, როგორც ყველა საკოლმეურნეო სოფელში, ახალ შემართებაზე, შვიდწლედის ახალი ზღუდეების აღებაზე მიუწევთ გული...

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ოკეანესთან ბრძოლაში

## გამარჯვებულნი

### უმაგალითო ვაჟკაცობა



**ერთი** შეხედვით დაუჯერებელი, საზღაპრო ამბავია.

ამ ორი-სამი დღის წინათ მთელი ამერიკა ოთხ ახალგაზრდა საბჭოთა ჯარისკაცზე ალაპარაკდა... ისინი 49 დღედაღამე მშიერნი და მწყურვალნი ებრძოდნენ აბობოქრებულ ოკეანეს.

ამბავი კი ასე დაიწყო: კურილის ერთ-ერთი კუნძულის ახლოს პატარა კარჭაპი დაცურავდა (კარჭაპი სიგრძით თხუთმეტ მეტრამდე იქნებოდა და ზედ ერთი სატვირთო ავტომანქანა თუ დაეტეოდა). კარჭაპში ოთხი საბჭოთა ჯარისკაცი იჯდა, ყველანი ოცი-ოცდაერთი წლისანი: კარჭაპის ზემდეგი არხან ზიგანშინი, მემოტორეები ფილიპე პოპლავსკი და ანატოლი კრუჩკოვსკი, მატროსი ივანე ფედოტოვი.

17 იანვარი თენდებოდა. მთელ ღამეს იღმუვლეს ჩრდილო-დასავლეთის ქარებმა, მერე მძვინვარე გრიგალს თოვლიც დაემატა. მაგრამ თოვლიც არის და თოვლიც! თეთრმა კორიანტელმა დაფარა ირგვლივ ყველაფერი. ქარიშხალმა პატარა, უღონო კარჭაპი კუნძულის ნაპირებს მოსწყვიტა და შორს, გაშლილ ოკეანეში გაიტაცა.

ამ ამბავმა მთელი კუნძული ფეხზე დააყენა. ეძებდნენ ნაპირ-ნაპირ, ეძებდნენ ოკეანეში. ციდან თვითმფრინავები დაეძებდნენ და ოკეანეში — ხომალდები. მაგრამ ამაოდ, თითქოს რაღაცამ ჩაყლაპაო, ისე მიეფარა თვალს პატარა კარჭაპი.

მალე ნაპირ-ნაპირ მძებნელ მოთხილამურეთა ერთი ჯგუფი დაბრუნდა და მეტად ცუდი ამბავი მიიტანა: მოთხილამურეებს ნაპირზე კასრი და საავარიო ბალიში, რეზინის ჩექმა და ჩასაფენი ფიცარი ეპოვნათ. ფიცარზე „ტ-36“ ეწერა. ეჭვი არ იყო, რომ ნაპოვნი ნივთები კარჭაპ № 36-ს ეკუთვნოდა.

17 იანვრიდან 6 მარტამდე არავინ არ იცოდა, სად იყვნენ ისინი... ბევრს შესაძლოა იმედიც გადაუწყდა, მაგრამ ოთხ საბჭოთა ადამიანს არ დაუკარგავს სიცოცხლის იმედი. ისინი ქარიშხალზე და თვით მძვინვარე ოკეანეზეც ძლიერნი აღმოჩნდნენ. 49 დღეს ოთხ კილოგრამამდე პურსა და სამ ქილა ხმელ ხორცზე იყვნენ. კარჭაპი სრულებით არ ყოფილა მოწყობილი შორეული ცურვისათვის ოკეანის დაუსრულებელ სივრცეებში და მას თავის ნებაზე დააქანებდა ყოველი ტალღა. მაგრამ ამ ოთხი ახალგაზრდის გმირულმა სულმა სძლია ოკეანის ყოველ წვეთში დამარხულ სიკვდილს...

6 მარტს ამერიკული ნაღმოსანი „კირსარჯი“ თავის გზას მიჰყვებოდა სანფრანცისკოსაკენ. ამ ნაღმოსნის გემბანიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტომ ამ ორი დღის წინ ასეთი ცნობა გადმოსცა: ამერიკულმა თვითმფრინავმა, რომელიც საპატრულო სამსახურს ეწეოდა ნაღმოსან „კირსარჯისათვის“, ოკეანის ზედაპირზე შენიშნა პატარა თვითმავალი კარჭაპი... ამ კარჭაპზე აღმოჩნდნენ ოთხნი, ისინი საბჭოთა ჯარისკაცები არიან, უკანასკნელად მიწა მათ 18 იანვარს შენიშნესო.

კარჭაპი ამ დროს 1.600 კილომეტრზე მეტი მანძილით იყო დაშორებული იმ კუნძულს, რომლის სანაპიროდანაც მძვინვარე ქარიშხალმა გაიტაცა 17 იანვარს. ქარაშოტი აქ სასწრაფო მატარებლის სიჩქარით მოძრაობდა — 120 კილომეტრამდე საათში, ტალღები ოთხსართულიანი სახლის სიმაღლეზე დგებოდნენ ყალყზე, წყლისა და ჰაერის ტემპერატურა კი ამ ზღაპრული მოგზაურობის მთელ მანძილზე 0-დან +7 გრადუსამდე მერყეობდა.

ამერიკული ნაღმოსნის „კირსარჯის“ კაპიტანს რობერტ ტაუსენდს განუცხადებია, როცა პირველად დავინახეთ საბჭოთა ჯარისკაცები, ოთხივენი ხელიხელჩაკიდებულნი გადმოსწოლოდნენ ბაქნის მოაჯირსო...

მალე ნაღმოსნიდან შვეულმფრენი გაგზავნეს. შვეულმფრენმა თითო-თითო ჯარისკაცი გადაიყვანა ნაღმოსანზე. სად მიგვყავართო, უკითხავთ ახალგაზრდებს, ძალიან დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ სამშობლოში მალე დაგვაბრუნებთო.

როგორც ამერიკული სააგენტო იუწყება, უკანასკნელ ორ დღეს მათ თავიანთი ჩექმების და ქამრების ჭამა დაუწყიათ. თვალები შეშუპებული ჰქონია ოთხივეს, და ალბათ მკითხველი თვითონ წარმოიდგენს, თუ როგორ წამოეზრდებოდათ თმა და წვერი 49 დღეში. თითოს 15-18 კილოგრამი დაუკლია წონაში.

ამერიკელ მეზღვაურებს გულთბილად მიუღიათ საბჭოთა ჯარისკაცები, დაუპურებიათ, დაუძინებიათ და დაუსვენებიათ.

ჯერჯერობით მხოლოდ ეს არის ცნობილი ამ ოთხი ახალგაზრდის შესანიშნავ ვაჟკაცობასა და გმირობაზე. როგორც იტყობინებიან, ნაღმოსანი „კირსარჯი“ დღეს თუ არა ხვალ მაინც ჩავა სან-ფრანცისკოში, და მალე დაწვრილებით გავიგებთ ყველაფერს.

ვინც ამ ნამდვილად გმირულ ამბავს შეიტყობს, ის არ შეიძლება არ აღაფრთოვანოს იმ ჭეშმარიტად დიდმა ადამიანურმა სივაჟკაცემ, რომელიც ოთხმა საბჭოთა ახალგაზრდამ გამოიჩინა თვალუწვდენი ოკეანის ბობოქარ სტიქიასთან ბრძოლაში, არ შეიძლება მადლობის გრძნობით არ გაიმსჭვალოს იმ ამერიკელი მეზღვაურების მიმართ, სიცოცხლით და სიხარულით სავსე ოთხი ახალგაზრდა რომ იხსნეს, ოთხი ახალგაზრდა, რომლებსაც დედები, დები და გულისსაყვარელნი მელიან.

• • •

სურათზე: წყნარი ოკეანის ის რაიონი, სადაც დაცურავდა თვითმავალი კარჭაპი. წრით აღნიშნულია ადგილი, სადაც საბჭოთა ჯარისკაცები ნაღმოსან „კირსარჯზე“ აიყვანეს.

# მეგობრობის საღამო

საქართველოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის ბევრი წარმომადგენელი შეიკრიბა საბჭოთა კავშირ-ნიდერლანდის მეგობრობის საღამოზე, რომელიც მოეწყო იმასთან დაკავშირებით, რომ ახლა მიმდინარეობს სსრ კავშირსა და ნიდერლანდს შორის კულტურული გაცვლის კვირეული. საღამოზე მოვიდნენ მეცნიერული წრეების წარმომადგენლები, ხელოვნების მოღვაწეები, სტუდენტები.

მოხსენება გააკეთა საზოგადოება „სსრ კავშირ-ნიდერლანდის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, ცნობილმა ქართველმა მეცნიერმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პროფესორმა ა. ი. ჩიქობავამ. მან ილაპარაკა ჰოლანდიელი ხალხის ისტორიულ წარსულსა და ახლანდელ ცხოვრებაზე, მის კულტურაზე, საბჭოთა კავშირისა და ნიდერლანდის კულტურულ თანამშრომლობაზე.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფროსმა მასწავლებელმა გ. რამიშვილმა ილაპარაკა ორივე ქვეყნის მხარეს მეცნიერულ ურთიერთობაზე. მან აღნიშნა დასავლეთ ევროპის ლინგვისტთა დიდი ინტერესი ქართველ მეცნიერ-ფილოლოგთა შრომებისადმი. დიდ და ნაყოფიერ საქმიანობას ქართული კულტურის შესასწავლად ეწევა ცნობილი ჰოლანდიელი მეცნიერი, პროფესორი იბელინგი.

შეკრებილთ საინტერესო მოგონებანი გაუზიარა ტექსელის კუნძულზე აჯანყების ერთ-ერთმა მონაწილემ ს. ბარათაშვილმა. ჩვენ, ქართველი მებრძოლები, თქვა მან, არასოდეს არ დავივიწყებთ მეგობრულ შეხვედრებს ჰოლანდიელ მშრომელებთან, მათ გულისხმიერ დამოკიდებულებას საბჭოთა ადამიანებისადმი. (საქდესი).

ყარამანი — გ. კოსტავა.

ფოტო გ. გოგოხიასი.

# დიდი საჭადრაკო ჭიდილი

**ამ** ჭეშმარიტად დიდი საჭადრაკო ჭიდილის წინ 1948 წელს მომხდარი ერთი ასეთი ამბავი მაგონდება:

იმ წელს, გახდა თუ არა მსოფლიო ჩემპიონი, მიხეილ ბოტვინიკი რიგის სანაპიროზე წავიდა დასასვენებლად. ერთ მშვენიერ დღეს კარზე დაუკაკუნებია ასე თერთმეტი-თორმეტი წლის ბიჭს. მას იღლიაში ჭადრაკის დაფა სჭერია.

კარი ბოტვინიკის მეუღლეს გაუღია.

— მსოფლიო ჩემპიონს მინდა პირველობაზე ვეთამაშო — უთქვამს პატარა ბაჭუნას.

მაგრამ თამაში არ შემდგარა. ბოტვინიკს ეძინა თურმე.

პატარა ტალის განზრახვა ნამდვილად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა: პირველად მარტო მას სწამდა, რომ ოდესმე მაინც შეხვდებოდა მსოფლიოს ჩემპიონს დიდ საჭადრაკო ჭიდილში, მალე მისმა მწვრთნელმა ოსტატმა კობლენცმაც დაიჯერა, მერე კი ჩვენი ქვეყნისა და მსოფლიოს მრავალი მოჭადრაკეც დარწმუნდა.

მას მერე თორმეტიოდე წელი გავიდა და დღეს ერთმანეთს ხვდებიან ბოტვინიკი და ტალი. მათი შეხვედრა მრავალმხრივ საყურადღებო მოვლენაა ჭადრაკის ისტორიაში.

მიხეილ ტალი მსოფლიო საჭადრაკო ტახტის ყველაზე ახალგაზრდა პრეტენდენტია. პირველად ხდება, რომ მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი ამ მატჩამდე არც ერთხელ არ შეხვედრიან ერთმანეთს საჭადრაკო დაფასთან. ბოლოს, პირველად ხვდება ერთმანეთს ცა და დედამიწასავით ესოდენ განსხვავებული სტილის ორი მოჭადრაკე.

მსოფლიო ჩემპიონს სწორედ ამ მატჩის წინა დღეებში შეუსრულდა 48 წელი. „ბევრია, ბევრი დიდი საჭადრაკო შეჯიბრებებისათვის“, — იტყვიან ერთნი. „რას ამბობთ, რა ბევრია— შეეკამათებიან მეორენი — სტეინიცი ხომ 50 წლისა იყო მსოფლიო ჩემპიონი რომ გახდა“.

მიხეილ ტალი 23 წლისა იწყებს უმაღლესი საჭადრაკო წოდებისათვის ბრძოლას — ის ყველაზე ახალგაზრდა პრეტენდენტთაგანია. შედარება შეიძლება მხოლოდ ლასკერთან, რომელიც 26 წლისა ეთამაშა სტეინიცს, და ბრონშტეინთან, რომელიც 27 წლისა იყო ბოტვინიკს რომ ეთამაშა.

ბოტვინიკსა და ტალს შორის ასაკობრივი განსხვავება 25 წელიწადია. სხვაობა, მართალია, დიდია, მაგრამ არა მაქსიმალური. ლასკერი ხომ 32 წლით უმცროსი იყო სტეინიცზე.

როგორ მოხდა რომ ბოტვინიკსა და ტალს დღემდე არ უთამაშიათ არც ერთი პარტია? შემთხვევითი ამბავია? რასაკვირველია, შემთხვევითია. ხუთ წელიწადზე მეტია ორივე თამაშობს ტურნირებში, მაგრამ... პარალელურად. ერთხელ ის იყო ბედმა დააპირა მათი ერთად შეყრა — 1959 წელს ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე უკვე დანიშნული იყო შეხვედრა. პირველ დაფაზე მოსკოვის სახელით ბოტვინიკს უნდა ეთამაშნა და ლატვიის სახელით — ტალს. მაგრამ შეხვედრა არ შემდგარა მსოფლიო ჩემპიონის მოულოდნელი ავადმყოფობის გამო.

ერთხელ 1958 წელს მიუნხენში გამართულ ოლიმპიადაზე ისინი ერთმანეთის მხარდამხარ იბრძოდნენ საბჭოთა გუნდში, რომელმაც მეოთხედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი. ამ ოლიმპიადაზე საბჭოთა გუნდის კაპიტანი ვიყავი და შესაძლებლობა მქონდა თვალყური მედევნებინა ამ „საჭადრაკო ანსამბლის“ მეტად თავისებური მუშაობისათვის. თუ ბოტვინიკი იშვიათი სიღრმით მიაგნებდა ხოლმე ბრძოლის სტრატეგიულ ხაზს, ტალი ამ გეგმას ხელად „შეაფერადებდა“ წამიერი ტაქტიკური დარტყმებით, ეფექტური კომბინაციებით და მოულოდნელად მახეში გააბამდა მოწინააღმდეგეს.

„ყინულისა და ცეცხლის“ ორთაბრძოლას უწოდებენ ზოგიერთნი ჩვენი დროის ამ ორი უდიდესი მოჭადრაკის შეხვედრას. ამ ნათქვამში ნამდვილად ბევრი სიმართლეა. ბოტვინიკი დაწყებისთანავე ეძებს თამაშის დინჯ გზებს, აგებს მყარ სტრატეგიულ ხაზებს. რამდენადმე განსხვავებულად უდგება თამაშის დაწყებას ტალი. ის პირველი სვლიდანვე ცდილობს ისეთი პოზიციის შექმნას, რომ შეარყიოს მოწინააღმდეგის დაძაბული ფიქრით შექმნილი საჭადრაკო შენობა და დაფაზე დატრიალებულ ქარიშხალში სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეეჯახოს „მტერს“. მერე რა თუ დაიღუპა, ტალს სულაც არ აფიქრებს დაცემა, ოღონდაც აფორიაქოს ყველაფერი. ის ამ დროს ისე დაცურავს, როგორც თევზი წყალში და სჭერა თავისი უპირატესობა. ამიტომაც არის მისი სადებიუტო რეპერტუარი ასეთი: თუ მოწინააღმდეგემ ითამაშა 1. e2—e4 ის თითქმის ყოველთვის სიცილიურით უპასუხებს (ბოტვინიკი ამ დროს ესპანურით ან დინჯი კარო-კანით უპასუხებდა), ხოლო თუ მოწინააღმდეგემ 1. d2—d4 ითამაშა, ტალი ხელად ძველინდური დაცვის მწვავე სისტემას მოიმარჯვებს (ბოტვინიკს ამ შემთხვევაში სლავური ან დედოფლის გამბიტი უფრო უყვარს), მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ მომავალ შეხვედრაში მრავალი მოულოდნელი სადებიუტო ამბავიც შეიძლება მოხდეს.

მსოფლიო ჩემპიონი ნამდვილად ძლიერია თავის ახალგაზრდა მოწინააღმდეგეზე გადადებულ პოზიციათა ზუსტ ანალიზში, თანამედროვე მოჭადრაკეთაგან არავინ არ მეგულება ისეთი, რომელსაც ბოტვინიკივით შეეძლოს გადადებული პოზიციის მარჯვე ანალიზი. საყოველთაოდ ცნობილია ბოტვინიკის სიძლიერე ენდშპილში. მაგრამ არც ის არის ნაკლებად ცნობილი, თუ რაოდენ ძლიერია ახალგაზრდა ტალი ვარიანტების გამოთვლა-გამოანგარიშებაში, განსაკუთრებით თუ მდგომარეობა კომბინაციურია. ზოგნი ამბობენ, ბოტვინიკს მეტი გამოცდილება აქვს და ამ შეხვედრისათვის უფრო უკეთ მოემზადებოდაო. ცხადია, ბევრი (ტალის გარდა) დაეთანხმება ამ მოსაზრებას. თვით ტალმა კი ამას წინათ დიდის ამბით გაისეირნა ლენინგრადში XXVII ჩემპიონატის დროს. როგორც ჩანს, უკმაყოფილო არ უნდა იყოს თავისი მომზადებით, თორემ, როგორ მოშორებოდა საჭადრაკო დაფას.

ტალს ალბათ ცაიტნოტების იმედიც აქვს და არც თუ უსაფუძვლოდ. ყველაფერს შეიძლება ვარჯიშით მიაღწიოს კაცმა, მაგრამ ახალგაზრდულ ცოცხალ და ჯიუტ აზრს რას უზამ! ამ ორთაბრძოლაში რაც მეტი ცაიტნოტი იქნება, მით უფრო მეტი შანსი ექნება ტალს.

საჭადრაკო ლექსიკონში სიტყვა „ტალი“ და „შეწირვა“ სინონიმებად იქცნენ. ძნელია მეორე ისეთი მოჭადრაკის პოვნა (თვით ალიოხინსაც თუ ჩავთვლით), რომელსაც ამდენი „შესაწირავი მიჰქონდეს საჭადრაკო სამსხვერპლოზე“. ტალს შეწირვა, ცხადია ყოველთვის უნაკლო არ გამოუდის, მაგრამ იმდენად თამამად და შორსმჭვრეტელად არის ხოლმე გამიზნული ყოველი მათგანი, რომ ახალგაზრდა რიგელ გროსმაისტერს პრაქტიკული შანსი განუწყვეტლივ ეზრდება. იგი იმდენად მოხერხებულად თამაშობს ყველაზე რთულ, თუ შეიძლება ითქვას, არეულ პოზიციებში რომ ხშირად სრულიად უიმედო მდგომარეობიდანაც კი აღწევს თავს.

წინასწარ რაიმე გადამწყვეტის თქმა არავის არ შეუძლია. „რომელი მიხეილი გაიმარჯვებს?“ აი კითხვა, რომელიც გაისმის დედამიწის ყოველ კუთხეში. ვნახოთ, წინ 24 პარტიაა.

მოჭადრაკეებსა და გულშემატკივრებს შეიძლება დიდი „საჭადრაკო სპექტაკლის“ დაწყება მივულოცოთ.

**ა. კოტოვი,**
გროსმაისტერი.

• • •

**სურათებზე:** (მარცხნივ) მ. ბოტვინიკი, (მარჯვნივ) მ. ტალი.

ჭადრაკი

# ორთაბრძოლა იწყება

**მოსკოვი.** 14 მარტი. („კომუნისტის“ სპეც. კორ.). ეს ეს არის დავბრუნდი სახლში, ვესწრებოდი სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მატჩის გახსნის საზეიმო ცერემონიალს. მართალი გითხრათ ძნელია იმის აღწერა თუ რაოდენ დიდ ინტერესს იჩენენ აქ, და არა მარტო მოსკოვში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყოველ კუთხეში.

დღეულებით ამ ორი დიდი მოჭადრაკის შეჯიბრების გახსნას წინ უძღოდა წილისყრა. ეს მოხდა სასტუმრო „ნაციონალში“. გარდა მეტოქეებისა წილისყრას ესწრებოდნენ მ. ბოტვინიკისა და მ. ტალის სეკუნდანტები ოსტატები გ. გოლდბერგი და ა. კობლენცი, საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაციის წარმომადგენლები, მსაჯები და მატჩის მომწყობი საორგანიზაციო კომიტეტის წევრები.

შეჯიბრების მთავარმა არბიტრმა საერთაშორისო გროსმაისტერმა გ. შტალბერგმა, რომელიც წილისყრას ხელმძღვანელობდა, გამოაცხადა, რომ მატჩის პირველ პარტიაში, რომელიც 15 მარტს შედგება მოსკოვის პუშკინის სახელობის დრამატულ თეატრში, თეთრებით ითამაშებს მ. ტალი.

დღესვე სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში შედგა მატჩის საზეიმო გახსნა. მონაწილეებს მისალმა და წარმატებები უსურვა მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მაქს ეივემ. სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ვ. ალატორცევმა. გიდეონ შტალბერგმა დამსწრეთ გააცნო შეჯიბრების დებულება.

სულ გათამაშდება 24 პარტია. გამარჯვებულად ითვლება ის მოჭადრაკე, რომელიც 12,5 ქულას შეაგროვებს. ყაიმის — 12:12 შემთხვევაში მსოფლიო ჩემპიონის წოდებას მ. ბოტვინიკი შეინარჩუნებს. თუ მ. ტალი მსოფლიო ჩემპიონი გახდება, მ. ბოტვინიკი ინარჩუნებს უფლებას შეხვდეს მატჩ-რევანშში მ. ტალს 1 წლის შემდეგ.

**ვ. რაგოზინი,**
გროსმაისტერი.

# ლაურეატთა კონცერტები

12 და 13 მარტს რუსთაველის სახელობის საკონცერტო დარბაზში გაიმართა ამიერკავკასიის მუსიკოს-შემსრულებელთა პირველი კონკურსის ლაურეატთა კონცერტები.

პირველ საღამოს გამოვიდნენ ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლენი მევიოლინეები ლ. ისაკაძე (ლ. იაშვილის კლასი) და რ. ჯანდიერი (შ. შანიძის კლასი). მათ შეასრულეს ჩაიკოვსკის, ბეთჰოვენის, შოპენის, სენ-სანსის, ს. ცინცაძის ნაწარმოებნი.

ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიის სტუდენტმა პიანისტმა პ. დიმიტრიადიმ (ე. გურევიჩის კლასი) შეასრულა მუსორგსკის ნაწარმოებნი „გამოფენის სურათები“.

მეორე კონცერტზე გამოვიდნენ დ. არაყიშვილის სახელობის მუსიკალური სკოლის მოსწავლეები ნორჩი მევიოლინე ნ. იაშვილი (ლ. იაშვილის კლასი), ზ. ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური მუსიკალური სკოლის მოსწავლე პიანისტი ჯ. ბალანჩივაძე (თ. ჩარექიშვილის კლასი), კონსერვატორიის სტუდენტები ალტისტი ი. ლეჟავა, მევიოლინე ი. იაშვილი (ლ. იაშვილის კლასი) და საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის სოლისტი პიანისტი ა. ნიჟარაძე. შესრულებულ იქნა რუს, ქართველ და საზღვარგარეთელ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი.

კონცერტის მონაწილენი — ამიერკავკასიის შემსრულებელთა პირველი კონკურსის ლაურეატები დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროსა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელებით. (საქდესი).

# ფიქრები პიესაზე და სპექტაკლზე

„ჩემი ყვავილეთი“
მარჯანიშვილის თეატრში

ყოველი ახალი პიესის გამოჩენა თანამედროვე თემაზე კანონიერად იწვევს გამოცოცხლებას თეატრალურ ცხოვრებაში და ცხოველ ინტერესს მაყურებელთა ფართო წრეებში. და რა კარგია, როცა ახალი პიესა თეატრის მოთხოვნებსაც აკმაყოფილებს და საბჭოთა მაყურებელიც არ განიცდის გულისტკივილს იმ სინამდვილის დამახინჯებულად ასახვის გამო, რომელსაც თვითონ ქმნის. მარიკა ბარათაშვილის ახალი პიესით „ჩემი ყვავილეთი“ შეძლო აქტიური კონტაქტი დაემყარებინა სცენასა და მაყურებელს შორის. ეს პიესა აღწევს მაყურებლის გულის სიღრმემდე და აიძულებს მას დაფიქრდეს მოქმედ პირთა ბედ-იღბალზე.

მ. ბარათაშვილის ეს ახალი კომედია უფრო ლირიკულია, ვიდრე სატირული. პიესა ეხება მრავალ საკითხს. ის მოგვითხრობს საკოლმეურნეო სოფლის ადამიანებზე, მათს ყოველდღიურ საზრუნავზე; პიესაში ჭარბად იგრძნობა იუმორი, მხიარულ კალამბურებსა და მხიარულ კომედიურ სიტუაციებში ვერსად ვერ შეამჩნევთ ტლანქ, უხეშ დიალოგს (როგორც ამას ზოგიერთ პიესაში ვხედებით), ხოლო მეტად ინტიმური თემები მოცემულია ფაქიზად.

პიესაში მაინც არის ზოგიერთი რამ, რასაც ვერ დავეთანხმებით ავტორს. დრამატურგი გაიტაცა მრავალთემიანობამ: პიესაში ძნელია მთავარის გარჩევა მეორეხარისხოვანისაგან. მაყურებელს უძნელდება გაერკვეს თუ რა არის პიესის ძირითადი აზრი, მისი „გამჭოლი მოქმედება“, როგორც კ. ს. სტანისლავსკი იტყოდა. დასახა რა თავის პიესაში მრავალი სერიოზული ცხოვრებისეული პრობლემა (სწორედ პრობლემა, და არა უბრალოდ საკითხი), დრამატურგმა ვერ მოახერხა ყოველი მათგანის ამაღლება ფართო მხატვრულ განზოგადებათა დონემდე.

პიესაში ერთ-ერთი მთავარი მოქმედია ნინო. იგი — ქინიანი, განებივრებული, თავნება ცოლი — ვერ შეეთვისდა დავითის ოჯახს, ვერ იქცა მისი ნათესავებისა და თანასოფლელებისათვის ახლობელ და ღვიძლ ადამიანად, მეუღლეს გვერდში მეგობრულად ვერ ამოუდგა. ნინოს სოფელში ცხოვრება არ უნდა — ამ დებულებას აყენებს ავტორი და ყოველნაირად ცდილობს დაამციროს ნინო მაყურებლის თვალში. ნინო ქარაფშუტაა და უხეში, ეგოისტი და თავქარიანი. მას არა სურს იყოლიოს შვილები.

მაგრამ იბადება კითხვა: ხომ არა გვაქვს აქ საქმე ფერების განზრახ გამუქებასთან იმ მიზნით, რომ განვაზოგადოთ დებულება: ცუდი ადამიანია ყველა, ვისაც არა სურს სოფლად ცხოვრება? რადგან სიტყვამ მოიტანა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ის მტკივნეული და მნიშვნელოვანი საკითხი, რომ ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილს არა სურს სამუშაოდ წასვლა რაიონებში, უკანასკნელ დროს ხელოვნებაში რამდენიმე სქემატურ და ზედაპირულ განსახიერებას პოულობს (ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო სპექტაკლები, არამედ კინოფილმებიც). იქმნება რაღაც შეზღუდული და არა სავსებით სწორი დაპირისპირება „კარგი“ სოფლელებისა და „ცუდი“ ქალაქელებისა. ხომ არ წარმოადგენს ეს დაპირისპირება მეორე უკიდურესობისაკენ გადახრას, ხომ არ აუბრალოებს და ამარტივებს იგი აღძრული პრობლემის შინაარსს?

საკვირველი როდია, რომ პიესის ძლიერი და სუსტი მხარეები ასე ნათლად დაეტყო სპექტაკლს — მის რეჟისორულ ჩანაფიქრს, მხატვრულ გაფორმებას. სპექტაკლის ამ სადადგმო კომპონენტებშიც მიღწეული ვერ არის ერთიანი მკაფიო გადაწყვეტა. რა არის სპექტაკლის მთავარი აზრი? ამაზე პირდაპირი პასუხის გაცემა ძნელია. და ამიტომაც შემთხვევითი როდია ის გარემოება, რომ სპექტაკლში ერთმანეთთან ორგანულად შერწყმული არ არის პირობითი და ყოფა-ცხოვრებითი მოტივები. განსაკუთრებით იგრძნობა ეს მხატვარ დ. ნოდიას ნამუშევარში. დ. ნოდიამ თავისი კარგი გემოვნება სპექტაკლის ფერად გამებში გამოავლინა, ხოლო საერთო კომპოზიციაში ფორმის მთლიანობა მაინც ვერ მოძებნა. მხატვარმა ვერ გამონახა რეალურ-ყოფაცხოვრებითობიდან პირობითში გადასვლის ხერხები.

სამწუხაროდ, ფორმის მთლიანობას ვერც რეჟისორმა კ. სურმავამ მიაღწია, სამაგიეროდ მოსაწონია რეჟისორის მუშაობა მსახიობებთან. სპექტაკლი აღსავსეა მთელი რიგი საინტერესო დეტალებით, რომლებიც უადვილებენ მსახიობებს როლის ღრმად გააზრებასა და გამოსახვას. სპექტაკლში ბევრი აქტიორული მიღწევაა. შემსრულებელთა შორის ჩვენ გვინდა პირველ რიგში გამოვყოთ ორი მათგანი — მ. დავითაშვილი და გ. კოსტავა. მ. დავითაშვილი მძაფრი გროტესკული მანერით თამაშობს, მაგრამ იგი არ ცდილობს რაიმეს გადაჭარბებულად „გაუსვას ხაზი“. მისი კომიზმი არ არის მყვირალა, იგი შინაგანად გამართლებულია, არსად არ გადადის უტრირებაში ან „საესტრადო სოლოს“ გათამაშების ტენდენციაში. და რა შესანიშნავ კონტრასტად წარმოგვიდგება სპექტაკლში დინჯი, რბილი ხასიათის მომხიბვლელი მოხუცი ყარამანი გ. კოსტავას შესრულებით. დიდი გულითადობა და ადამიანური მომხიბლაობა მიანიჭა მსახიობმა თავის ყარამანს. გ. კოსტავა და მასთან ერთად გ. ლეჟავა (მაკრინე) და ბ. მიმინოშვილი (მატრონა) შეადგენენ სპექტაკლში მშვენიერ ტრიოს, რომელიც ყველაზე მოხდენილად მეგზებული ტონალობით და სპექტაკლს თავისებურ ეროვნულ კოლორიტს ანიჭებს.

უფროსი თაობის მსახიობებს სპექტაკლში მხარს უსწორებენ ახალგაზრდები. აღსანიშნავია ე. ვერულაშვილი ანეტას როლში. იგი რამდენიმედ ექსცენტრულია, მაგრამ მის შესრულებაში ბევრია მართალი ცხოვრებისეული ინტონაცია.

როგორც ყოველთვის, მ. მახვილაძის თამაში აღსავსეა სულიერი სითბოთი და ლირიზმით. ეთერის როლი, რომელიც დრამატურგის მიერ მეტად ძუნწად არის დახატული, შეიძლებოდა „დაჩრდილული“ ყოფილიყო. ეთერი თითქმის არ მოქმედებს პიესაში. მისი კეთილშობილური და ღირსშესანიშნავი საქციელი სცენის მიღმა მიმდინარეობს, მთელი ეს სახე დიდ ქვეტექსტებზეა აგებული. მ. მახვილაძეს კარგად აქვს შეგრძნებული ეს. განსაკუთრებით დასამახსოვრებელია ეთერისა და დავითის დიალოგი მათი პირველი შეხვედრის დროს. რეჟისორის მიერ მარჯვედ გამონახული დეტალები ამ სცენაში მოხდენილად უწყობს ხელს მსახიობის სულიერი განწყობილების გადმოცემას.

მიმზიდველი და უშუალოა ნ. ხეთერელი მანანას როლში. მაგრამ ზოგჯერ მსახიობი რატომღაც ცდილობს განასახიეროს შეშინებული ბავშვი და ასეთ მომენტებში იგი არღვევს პოეტურ ქსოვილს, რომელიც უნდა ახასიათებდეს ამ ორმაგ სახეს — პიესის პერსონაჟსა და ავტორის ტექსტის მკითხველს.

წარმატებით ასრულებს გიას როლს მსახიობი გ. სიხარულიძე, იგი ხალისიანი შტრიხებით ამდიდრებს სპექტაკლს.

რამდენიმე სიტყვა პიესის მთავარი გმირებზე — ნინოსა და დავითის შესახებ. ნ. ფილიაშვილი ნინოს როლს ერთი მანერით ასრულებს. გულახდილად რომ ითქვას, მსახიობი ხაზს უსვამს თავისი გმირის მხოლოდ უარყოფით თვისებებს და სრულიადაც არ ცდილობს დაინახოს მასში რაიმე ადამიანური და დადებითი. ასეთი ცალმხრივობა (რომელიც რამდენადმე თვით პიესიდანაც მომდინარეობს), ჩვენი აზრით, აღარიბებს ამ პერსონაჟის ხასიათს და მას შინაგანი განვითარების საშუალებას უსპობს. იბადება კითხვა, რისთვისღა შეიყვარა ნინო ისეთმა ყოველმხრივ დადებითმა ახალგაზრდამ, როგორიც დავითია? ი. ტრიპოლსკი კი დავითს სწორედ ასეთად განასახიერებს — შინაგანად მთლიან, საქმიან, ენერგიულ საბჭოთა ადამიანად. მსახიობი დამაჯერებლად გადმოსცემს დავითის დიდ სულიერ ძალას, მის პატიოსნებას და პრინციპულობას.

სპექტაკლის მონაწილეთა შორის ყველაზე რთულ მდგომარეობაში ე. მაღალაშვილი აღმოჩნდა. ამირანის სახე პიესაში გარკვეულად ვერ არის დახასიათებული. ამ სახის განვითარება ვერ პოულობს პიესაში ლოგიკურ დასრულებას და მისი სცენური ფუნქცია ბოლომდე გაურკვეველი რჩება. მაგრამ ამ პირობებშიც მსახიობი ახერხებს შექმნას დასამახსოვრებელი სახე.

აი ასეთია ახალი პიესა და ახალი სპექტაკლი. ერთი უდაოა: ამ ახალი სპექტაკლის გამოჩენა კანონიერ გამოცოცხლებას იწვევს ჩვენს თეატრალურ ცხოვრებაში, რადგან მასში არის ისეთი რამ, რასაც არ შეუძლია მოწონება არ დაიმსახუროს — საღი აქტუალობა, მხნე, ხალისიანი კომედიური საწყისი, სიწრფელე და გულითადობა, მშვენიერი მუსიკალური გაფორმება (კომპოზიტორი ს. მირიანაშვილი) და მაღალმხატვრული აქტიორული შესრულება.

**ეთერ გუგუშვილი.**

დავითი (ი. ტრიპოლსკი) და ნინო (ნ. ფილიაშვილი).

• • •

## საზღვარგარეთ

## „წარმატებებს ვუსურვებთ"...

**პარიზი,** 12 მარტი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი რაიმონ გიუიო დღეს გაზეთ „ლუმანიტეში" ხაზგასმით აღნიშნავს საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობის გაფართოების დიდ მნიშვნელობას ორივე ქვეყნის ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის. ავტორი იმედს გამოთქვამს, რომ საბჭოთა მთავრობის მეთაურისა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის მომავალი მოლაპარაკება გამოიწვევს ამ ურთიერთობის შემდგომ განმტკიცებას.

„ფრანგები და ფრანგი ქალები, — წერს რ. გიუიო, — ბევრს მოელიან ამ შეხვედრისაგან. ისინი დარწმუნებული არიან, რომ ამით მშვიდობის საქმე მოიგებს და რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა განმტკიცდება ორივე ქვეყნის ინტერესებისათვის".

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა მტკიცდება.

„ყოველი თვალსაზრისით წარმატებებს ვუსურვებთ — წერს დასასრულ რ. გიუიო, — მომავალ მოლაპარაკებას. დაე, განუწყვეტლივ მტკიცდებოდეს ორი ხალხის ტრადიციული მეგობრობა".

# ყოველი მხრიდან

◆ განიარაღება უწინარეს ყოვლისა. ◆ როცა ივიწყებენ ისტორიის გაკვეთილებს. ◆ რეპრესიები ესპანეთში კვლავ გრძელდება

**ჟენევა,** 12 მარტი. (საკდესი). დღეს ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობისათვის ჟენევაში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: დელეგაციის მეთაური — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, დელეგაციის წევრები — გენერალ-პოლკოვნიკი ა. ა. გრიზლოვი და დესპანი ა. ა. როშჩინი, აგრეთვე დელეგაციის მრჩევლები — გენ. ს. გ. ხოლოპცევი, ლ. ი. მენდელევიჩი, პ. ფ. შახოვი, რ. მ. ტიმერბაევი და ი. დ. ნიკულინი.

ჟენევის აეროდრომზე ვ. ა. ზორინმა გააკეთა შემდეგი განცხადება პრესის წარმომადგენლებისათვის:

ჩვენ ჩამოვედით სტუმართმოყვარე ქალაქ ჟენევაში იმ მუშაობის დიდი მნიშვნელობისა და პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რომელიც მოგველის ათი სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში.

საბჭოთა მთავრობამ დაგვავალა ყოველი ღონე ვიხმაროთ მომავალ მოლაპარაკებაში, რათა რაც შეიძლება მალე მივაღწიოთ შეთანხმებას საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელების შესახებ საერთაშორისო კონტროლით.

ახლა ყველა იცნობს საბჭოთა კავშირის წინადადებებს ამ საკითხზე, რომლებიც არაჩვეულებრივი სიცხადით ჩამოაყალიბა მთელი მსოფლიოს წინაშე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა.

საბჭოთა კავშირი წინადადებით მიმართავს ყველა ქვეყანას დაშალონ მთელი არმიები, მისპონ ომის ყველა იარაღი, მათ შორის ყველაზე მომაკვდინებელი — ატომგულისა და რაკეტული იარაღი, გააუქმონ ყველა სამხედრო ბაზა, შტაბები და სამხედრო სასწავლებლები, რათა სახელმწიფოებს აღარ ჰქონდეთ აგრესიის გაჩაღებისა და საერთოდ ომის წარმოების მატერიალური შესაძლებლობა.

მხურვალე მოწონება, რომლითაც ამ წინადადებებს შეხვდა მილიონობით ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, საფუძველს გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ შორს აღარ არის ის დღე, როცა, ბოლოს და ბოლოს, გადაილახება დაბრკოლებანი მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის დამყარების გზაზე და ადამიანები იცხოვრებენ ისე, რომ აღარ ექნებათ მომავლის გამო შიში, აღარ იქნება ომები.

სსრ კავშირის დელეგაციას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ეს განაწესი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ კეთილშობილური მიზნის მიღწევაში საქმიან თანამშრომლობას გაგვიწევენ ჩვენი დასავლეთელი პარტნიორები მომავალ მოლაპარაკებაში.

**ლონდონი,** 12 მარტი. (საკდესი). როცა 1944 წელს გერმანელი ჯარისკაცები მოკავშირეთა ჯარების შეტევის გამო უკან იხევდნენ საფრანგეთიდან, ისინი სახლების კედლებზე ტოვებდნენ წარწერას, რომ დავბრუნდებითო. მათ შეასრულეს თავიანთი დაპირება თუ მუქარა. ისინი დაბრუნდნენ, წერს დღეს გაზეთი „დეილი ექსპრესი" მოწინავე სტატიაში, რომელშიც ეხება ბონელი რევანშისტების პრაქტიკულ ნაბიჯებს დასავლეთ გერმანიაში მილიტარიზმის აღორძინების გზაზე.

„მათ დაიბრუნეს, — წერს გაზეთი, — ძალაუფლება ევროპაში, დაიბრუნეს ტანკები, ტყვიამფრქვევი და სამხედრო ავიაცია... დღეს თავდაცვის მინისტრს შტრაუსს ევროპა მიაჩნია ტერიტორიად, რომელზეც შეუძლია განალაგოს ბაზები თავისი მზარდი არმიისათვის საბერძნეთის კუნძულებიდან შოტლანდიის დასავლეთ კუნძულებამდე".

გაზეთი მტკიცედ ილაშქრებს დასავლეთ გერმანიის იმ მისწრაფების წინააღმდეგ, რომ თავის სამხედრო ინტერესებს დაუმორჩილოს ინგლისელი ხალხის ინტერესები და აღნიშნავს, რომ ინგლისასადმი მტრობა მუდამ იყო გერმანიის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი.

„ვინ იტყვის, რომ გერმანიის მიზნები შეიცვალა? — აყენებს კითხვას გაზეთი. — ვის შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ გერმანიას (იგულისხმება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა. — **კორესპ. შენიშვნა**) ახლაც სურს მეთაურობდეს ბრიტანეთს? „მშვიდობიანი გზით და თანამშრომლობით", თუ შესაძლებელია. სხვა საშუალებებით, თუ საჭიროა".

ინგლისელმა ხალხმა და ინგლისის მთავრობამ, ხაზგასმით აღნიშნულია სტატიაში, არ უნდა დაივიწყოს ისტორიის გაკვეთილები.

**ნიუ-იორკი,** 12 მარტი. (საკდესი). რეპრესიების ტალღა ესპანეთში დემოკრატიულ ძალთა წინააღმდეგ არ ნელდება. იუნაიტედ პრეს ინტერნეიშენლის სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ესპანეთის პოლიციამ გუშინ ბილბაოში დააპატიმრა უნივერსიტეტის სტუდენტთა დიდი ჯგუფი და ერთი პროფესორი გაფიცვაში მონაწილეობისათვის.

# ამაგდარი ხელოვანი

### მალიკო მრევლიშვილის დაბადების 60 წლისთავი

◆

**თავისი** არსებობის ორ ათეულ წელს ითვლის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტი. ინსტიტუტში აღზრდილმა ბევრმა ნიჭიერმა მსახიობმა დიდი ხანია წამყვანი ადგილი დაიკავა ჩვენს თეატრებში.

და თუ ვილაპარაკებთ ახალგაზრდების დაოსტატებასა და ზრდაზე, მასწავლებელ მალიკო მრევლიშვილს ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს მათი შემოქმედებითი სახის ფორმირებაში. მალიკო მრევლიშვილი თეატრალური ინსტიტუტის დაარსების დღიდან მოძღვრავს მსახიობებს, რეჟისორებსა და თეატრმცოდნეებს სასცენო მეტყველების ხელოვნებას ასწავლის.

მალიკო მრევლიშვილს გაუტეხელ ყამირზე მოუხდა გავლა. მართალია, ქართული თეატრის კორიფეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეტყველების საკითხებს, თეატრალური ინსტიტუტის დაარსებამდეც იყო ჩვენში რამდენიმე თეატრალური სტუდია, სადაც სასცენო მეტყველების ერთგვარ კურსს გადიოდნენ; მაგრამ მეტყველების შესწავლა მყარ მეცნიერულ ნიადაგზე არ მდგარა. მალიკო მრევლიშვილმა (წარსულში მსახიობმა, რომელიც კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით წარმატებით ასრულებდა შექსპირის ოფელიას თუ კირშონის ოლღას, შ. დადიანის მარუშას თუ პ. კაკაბაძის გულთამზეს), საქართველოში პირველმა ჩამოაყალიბა და მეცნიერული კვლევა-ძიებისა თუ პრაქტიკის საგნად გაიხადა სასცენო მეტყველების საკითხები. სასცენო მეტყველება ხომ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია მსახიობის შემოქმედებისათვის.

მალიკო მრევლიშვილის ფუნდამენტური შრომა „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები", რომელიც 1949 წელს გამოიცა, მარტო თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტთა და მსახიობთა ყოველდღიური სახმარი წიგნი როდია, იგი ყველა დაინტერესებულ ადამიანს გამოადგება ქართული ბგერითი მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის. აღსანიშნავია მისი სხვა მეცნიერული ნაშრომები: „ქართული სცენური მეტყველების ზოგიერთი საკითხი", „სცენური მეტყველების ლოგიკური საფუძვლები", „მხატვრული მეტყველების მასალების სისტემატიზაცია" და სხვ.

მალიკო მრევლიშვილს 60 წელი შეუსრულდა. აქედან 30 წელი მან კეთილშობილურ პედაგოგიურ საქმეს მოახმარა. ამიტომაც ქართული თეატრის მუშაკები სიყვარულით აღნიშნავენ ამ თარიღს და მადლობით იხსენიებენ იმ უანგარო ღვაწლსა და ამაგს, მალიკო მრევლიშვილმა მშობლიურ თეატრალურ ხელოვნებას რომ მოახმარა.

**გ. გოგიჩაიშვილი.**

# კაიროში, ფესტივალზე

**კაირო,** 12 მარტი. (საკდესი). გუშინ კინოთეატრ „რივოლის" დარბაზში გაიმართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კინოფესტივალის დახურვის საზეიმო ცერემონია. ფესტივალი 29 თებერვლიდან 11 მარტამდე მიმდინარეობდა კაიროში.

კინოფესტივალში მონაწილეობდნენ ინდოეთი, ინდონეზია, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ლიბანი, მაროკო, სსრ კავშირი და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკა.

ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით პირველი პრემია „ოქროს არწივი" კონკურსზე წარდგენილი საუკეთესო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისათვის მიენიჭა სტალინაბადის კინოსტუდიის საბჭოთა კინოფილმს „პოეტის ბედი".

პირველი პრემია საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისათვის მიეკუთვნა ინდოეთის კინოფილმს „ტაჯ მაჰალი".

საუკეთესო საშემსრულებლო ხელოვნებისათვის „ვერცხლის არწივის" პრემიები მიენიჭათ: არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ეგვიპტის რაიონის კინომსახიობ მაჰდას, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ფილმში „კისი და ლეილა", ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კინომსახიობს იან ლი-კუნს მთავარი როლის შესრულებისათვის ფილმში „ხუთი ოქროს ყვავილი", ინდოელ მსახიობს სივაჯი განესანს ფილმ „კატაბომანში" მონაწილეობისათვის.

პირველი პრემია კინოფილმების წარმოებისათვის მიიღო ჩინური კინოფილმის „ხუთი ოქროს ყვავილი" დირექტორმა იან ძია-იმ, ხოლო ფილმისათვის დაწერილი მუსიკისათვის — კომპოზიტორმა რამნათანმა, რომელმაც მუსიკალურად გააფორმა ინდური კინოფილმი „კატაბომანი".

ფესტივალის კომიტეტმა, რომელშიც შედიოდნენ ფესტივალის მონაწილე ყველა ქვეყნის წარმომადგენლები, გადაწყვიტა, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების მესამე კინოფესტივალი გაიმართოს ინდოეთში 1962 წელს, აგრეთვე მიიღო გადაწყვეტილებანი ფილმებისა და კინომუშაკთა დელეგაციების გაცვლის შესახებ.

ფესტივალის მონაწილეებმა გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ აზიისა და აფრიკის ქვეყნების კინოხელოვნების მუშაკები ბანდუნგის კონფერენციის პრინციპების საფუძველზე ეცდებიან განავითარონ და განამტკიცონ თავიანთი ქვეყნების მეგობრული კავშირურთიერთობა და თანამშრომლობა.

## შოპენის სახელობის მე-6 კონკურსის შედეგები

**ვარშავა,** 12 მარტი. (საკდესი). როგორც პოლონეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, პირველი პრემია შოპენის სახელობის პიანისტთა VI საერთაშორისო კონკურსზე მიენიჭა მაურიციო პოლინის (იტალია); მეორე პრემია — ირინე ზარიცკაიას (სსრ კავშირი); მესამე პრემია — ტანია აშოთ-ხარუთუნიანს (ირანი); მეოთხე პრემია — ლი მინ-ჩანს (ჩინეთი); მეხუთე პრემია — ზინაიდა იგნატიევას (სსრ კავშირი); მეექვსე პრემია — ვალერი კასტელსკის (სსრ კავშირი).

# გლეზოსი მოუწოდებს...

**პრაღა,** 11 მარტი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ პრაღაში მიიღო მანოლის გლეზოსის წერილი, რომელიც გამოგზავნილია ათენის ციხე ავეროფიდან.

გლეზოსი თავის წერილში მოუწოდებს სიფხიზლისაკენ და გმობს ფაშისტურ პროვოკაციებსა და შეტევას დემოკრატიის წინააღმდეგ ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებში, რომელთაც მსოფლიოს ყველა დემოკრატიულად განწყობილი ადამიანის განგაში გამოიწვიეს. ტრაგიკული შეცდომა იქნებოდა, ხაზგასმით აღნიშნავს გლეზოსი, რომ ადამიანებს არ შეეგნოთ ფაშიზმის შეტევის მთელი სიღრმე და მნიშვნელობა. საფრთხე, რომელიც ემუქრება დემოკრატიას, დიდია, რადგანაც ნაცისტურ ელემენტთა აქტივიზაცია შედეგია იმ პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებენ საერთაშორისო მონოპოლისტური წრეები. ამ წრეებმა წამოიწყეს ცივი ომი, მხარს უჭერენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას და კვლავ არენაზე გამოათრიეს სამხედრო დამნაშავენი — შპაიდელი, ობერლენდერი და სხვები. საბერძნეთში, წერს გლეზოსი, დევნიან ანტიფაშისტებს, ახშობენ ეროვნული წინააღმდეგობის სულისკვეთებას იმ დროს, როცა სამხედრო დამნაშავეებს ამნისტიით ან საიდუმლოდ ათავისუფლებენ. ციხეებსა და საკონცენტრაციო ბანაკებში წლების განმავლობაში იტანჯებიან ანტიფაშისტური ბრძოლის დროს დაჭრილი ადამიანები, ინვალიდები. ჩახშობილია პრესის თავისუფლება და პროფკავშირული თავისუფლებანი.

დასასრულ მანოლის გლეზოსი მადლობას უცხადებს მსოფლიო დემოკრატიულ საზოგადოებრიობას ბერძენ დემოკრატთა დაპატიმრებისა და დასჯის წინააღმდეგ პროტესტებისათვის, აგრეთვე მადლობას უხდის ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციას ამ მოძრაობაში მონაწილეობისათვის.



**შეერთებული** შტატების სამხრეთ ნაწილში ძლიერდება რეპრესიები იმათ მიმართ, ვინც მონაწილეობს სტუდენტთა „მჯდომარე" დემონსტრაციებსა და ზანგი ხალხის საერთო ბრძოლაში რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ.

ადგილობრივ ხელისუფალთა და პოლიციის წაყრუებით სამხრეთში სულ უფრო აიშვეს თავი რასისტულმა ელემენტებმა. ქალაქ ჰიუსტონში (ტეხასის შტატი) ოთხმა კუკლუსკლანელმა ტყეში შეათრია 27 წლის ზანგი ფელტონ ტერნერი და ფეხებით ჩამოჰკიდა იგი ხეზე. რასისტები დიდხანს აწამებდნენ და ჯაჭვებით სცემდნენ მას, შემდეგ კი ტანისამოსი შემოაგლიჯეს და მკერდსა და მუცელზე ამოსჭრეს სამი ასო „კ", რაც ნიშნავს კუ-კლუქს-კლანს.

**სურათზე:** ფელტონ ტერნერი წამების შემდეგ.

# ტელეგრაფი გვატყობინებს

◆ ნიუ-იორკში 10 დღის არაოფიციალური ვიზიტით ჩავიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ადენაუერი.

◆ მაკედონიის ბევრ რაიონში 12 მარტს მოხდა მიწისძვრა. მიწისძვრის ეპიცენტრი იყო ქალაქ ტეტოვოს რაიონში, როგორც პრესა იუწყება, ქალაქში დანგრეულია რამდენიმე სახლი. დაზარალდა 25-მდე კაცი.

◆ რაბათში ჩავიდა საბჭოთა ტურისტების ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში არიან მწერლები, მეცნიერი მუშაკები, მასწავლებლები, ჟურნალისტები. საბჭოთა ტურისტები პირველად ჩავიდნენ მაროკოში. საბჭოთა სტუმრები გაეცნენ რაბათისა და კასაბლანკის ღირსშესანიშნაობებს. 11 მარტს საბჭოთა ჟურნალისტები შეხვდნენ და ესაუბრნენ მაროკოს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს. 12 მარტს საბჭოთა მწერლები და ჟურნალისტები ესაუბრნენ მეფის სასახლის პრესის სამსახურის უფროსს ალაუის, რის შემდეგ საბჭოთა სტუმრები მიიღო მაროკოს მეფემ მოჰამედ V.

◆ სტოკჰოლმის პოლიციამ დააკავა კრეისერ „ნორჰემპტონის" რამდენიმე ამერიკელი მატროსი ქალაქში უწესო მოქმედებისათვის. ერთ შემთხვევაში ორმა ამერიკელმა მატროსმა ქუჩაში გააჩერა შვედი ჭაბუკი და ფიზიკური ძალადობის მუქარით ჩამოართვა საათი და საფულე. იმავე საღამოს სტოკჰოლმის ცენტრალურ ვაგზალში ამერიკელმა მატროსებმა ჩხუბი ატეხეს.

◆ სამხრეთ ჩინეთის უდიდეს ქალაქ გუანჯოუში 50 ათასი მაყურებლის თანდასწრებით მოსკოვის „სპარტაკის" ძირითად შემადგენლობას მეგობრული მატჩი ჰქონდა ქალაქის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდთან. მოსკოველმა ფეხბურთელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 1 : 0. 16 მარტს „სპარტაკის" დუბლშემადგენლობა პეკინში შეხვდა ჩინეთის დედაქალაქის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდს.

(საკდესი).

# სპორტი

## კალათბურთი

### მატჩი გასაჩივრებულია

**ლენინგრადი.** 14 მარტი. საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი კალათბურთში **ვ. ჯაფარიძე** ტელეფონით გვატყობინებს:

საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური კალათბურთში ხასიათდება სიმძაფრით, შეუპოვრობით. პირველობისათვის მებრძოლ 12 უძლიერეს კოლექტივს შორის სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდი კვლავ დაუმარცხებლად იბრძვის და ჩემპიონობის პირველი კანდიდატია.

გუშინდელმა მატჩმა ცსკ მო-სა და თბილისის „დინამოს" შორის მრავალი მაყურებელი მიიზიდა.

გუნდების შემადგენლობა ასეთი იყო: თბილისის „დინამო" — კილაძე, მინაშვილი, ლეკავა, უგრეხელიძე, მოსეშვილი; ცსკ მო — ზუბკოვი, სემიონოვი, ალაჩაჩიანი, ტრავინი, ვოლნოვი.

ბრძოლა თბილისელთა უპირატესობით დაიწყო და ანგარიშიც მათ წაიყვანეს. ქულათა განსხვავება ორსა და ხუთს შორის მერყეობდა. მინაშვილმა სამი პერსონალური ჯარიმა მიიღო, თამაშში შეიყვანეს ინწკირველი. არმიელებმა ხელთ იგდეს ინიციატივა, გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი გაუსწრეს მეტოქეს.

პირველი ტაიმი დამთავრდა ცსკ მო-ს სასარგებლოდ 37 : 27.

მეორე ტაიმში ბრძოლა გამწვავდა. დინამოელებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. მატჩის დამთავრებამდე 13 წამით ადრე თბილისელები წინ იყვნენ 1 ქულით. სრულიად უსაფუძვლოდ ლენინგრადელმა მსაჯმა კონდრატიევმა გადამწყვეტ მომენტში კილაძე დააჯარიმა. მოსკოველებმა გაათანაბრეს ანგარიში, შემდეგ კი 2 ქულა მოიპოვეს და მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 68 : 66.

დინამოელებმა მატჩი გაასაჩივრეს.

### კიევის ტური

**კიევი.** 14 მარტი. (სპეც. კორ.). ჩვენი ქვეყნის პირველობაზე კალათბურთელ ქალთა უძლიერესი კოლექტივების ასპარეზობის მეორე დღეს თბილისელები შეხვდნენ მოსკოვის ელზის გუნდს. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ 29:29. მეორე ტაიმში უპირატესობა ხელთ იგდეს მოსკოველებმა და გაიმარჯვეს 66:53. სამწუხაროდ, მესამე დღეს თბილისელმა კალათბურთელმა ქალებმა კვლავ დამარცხება განიცადეს მოსკოველ დინამოელებთან 40 : 60.

## ოთხი ჩემპიონი მინსკიდან

**სარატოვი.** 14 მარტი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში მჩატე, მსუბუქ, საშუალო და მძიმე წონაში.

განვლილმა ბრძოლებმა ცხადყო საპრიზო ადგილებისათვის მებრძოლი სპორტსმენების კარგი ტექნიკური და ფიზიკური მომზადება.

მჩატე წონაში შეხვედრათა უმრავლესობა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა მინსკელმა მოჭიდავემ ო. კარავაევმა და მეხუთეჯერ მოიპოვა ჩემპიონის წოდება. ამავე წონაში მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა ო. ეგაძემ.

მსუბუქ წონაში პირველობის მთავარი პრეტენდენტები იყვნენ ი. კორშუნოვი და ა. ქორიძე. ამ მოჭიდავეთა შეხვედრამ გადაწყვიტა ოქროს მედლის საკითხი. ჩემპიონი გახდა ი. კორშუნოვი. თბილისელმა სპორტსმენმა ა. ქორიძემ მეორე ადგილი და ვერცხლის მედალი მოიპოვა.

შეუპოვარი ბრძოლით ხასიათდებოდა საშუალო და მძიმე წონის მოჭიდავეთა ასპარეზობა. აქაც ოქროს მედლები მინსკელმა სპორტსმენებმა — ნ. ჩუჩალოვმა და ს. ზალუსკიმ მოიპოვეს.

## კობა წაქაძე — პირველ ადგილზე

**ტომსკი,** 14 მარტი. (საკდესი). გუშინ სამთო-სათხილამურო სპორტის ათეულ ათასობით მოყვარული ინტერესით ადევნებდა თვალს შეჯიბრებას ტომსკის ტრამპლინის პრიზზე. ეს შეჯიბრება ერთგვარი გენერალური რეპეტიციაა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშებისა ტრამპლინიდან ხტომასა და ორჭიდში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ საუკეთესო საბჭოთა მხტომელები, მათ შორის სკვო ველის ზამთრის ოლიმპიური ასპარეზობის მონაწილენი.

გაიმარჯვა ოლიმპიელმა კობა წაქაძემ, რომელმაც 219 ქულა შეაგროვა. მეორე ადგილზეა ლენინგრადელი ევგენი გროზინი — 218 ქულა. მათ გადაეცათ პირველი და მეორე ხარისხის დიპლომები.

## ბაკურიანის მიდამოებში

**ბაკურიანი. 14 მარტი.** რამდენიმე დღეა გრძელდება ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება სამთო-სათხილამურო სპორტში. გუშინდელი შეხვედრების პროგრამაში შედიოდა შეჯიბრება სლალომ-გიგანტში ქალთათვის. აქ პირველ ათ ადგილზე გამოსული სპორტსმენი მონაწილეობას მიიღებს პირად ასპარეზობაში ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

სტარტზე გამოვიდნენ უძლიერესები — ოსტატები, ოლიმპიელები, ახალგაზრდა ნიჭიერი სლალომისტები. დისტანცია 1.350 მეტრს შეადგენდა 50 კარით.

არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად სპორტსმენებმა კარგი შედეგი აჩვენეს. პირველი ადგილი დაიკავა კოსტრომელმა მოთხილამურემ ვ. ივაკინამ. საქართველოს მოთხილამურე ლ. გოგოლაძემ მეექვსე ადგილი დაიკავა და უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს პირად ასპარეზობაში.

დღეს გაიმართა შეჯიბრება სპეციალურ სლალომში ვაჟთა და ჭაბუკებისათვის. ბაკურიანელი გ. აბრამაშვილი ჭაბუკთა შორის მესამე ადგილზე გამოვიდა, ხოლო ვაჟთა შორის — მეთორმეტეზე და საბჭოთა კავშირის პირად პირველობაზე ასპარეზობაში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ვაჟთა შორის პირველ ადგილზე გამოვიდა ტ. მონასტირიოვი („ბურევესტნიკი", 2 წუთი და 6,3 წამი) მომდევნო ადგილები დაიკავეს დ. კარტაშოვმა და ვ. ტალიანოვმა.

### ტურნირი ბათუმში

**ბათუმი. 14 მარტი.** ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა, საერთაშორისო ოსტატმა **ვ. გოგლიძემ** ტელეფონით გვაცნობა:

ბათუმელი მშრომელები დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოს საჭადრაკო პირველობისადმი.

გუშინ შედგა მესამე ტური. ოსტატმა ბ. გურგენიძემ დაამარცხა მ. თხელიძე, დ. ჯანოევმა — ჯ. ბერაძე, ს. მეგრელიშვილმა — ი. ვეტოხინი, ა. იზვოზჩიკოვმა — თ. გიორგაძე, ა. ბლაგიძემ — მ. დემურია, რ. შეინცვიკმა — გ. ჭანტურია. ა. ბრეიტმან - ე. გერსამიასა და ა. რაზოვსკი - ა. გაგუას პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს გათამაშდა გამოტოვებული და გადადებული პარტიები. ბ. გურგენიძემ მოუგო დ. ჯანოევს, მ. თხელიძემ — ჰ. არნშტეინს, თ. კიკიანმა — ა. ბლაგიძეს, გ. გამრეკელმა — ა. იზვოზჩიკოვს. ა. ბუსლაევი და მ. დემურია ყაიმზე შეთანხმდნენ.

სამი ტურის შემდეგ წინ არის ოსტატი ბ. გურგენიძე, რომელსაც 3 ქულა აქვს.

## ლ. პოლუგაევსკი — გროსმაისტერი

სსრ კავშირის 27-ე საჭადრაკო ჩემპიონატში საერთაშორისო გროსმაისტერებთან ერთად გამოდიოდნენ ჩვენი ქვეყნის უძლიერესი ახალგაზრდა ოსტატები.

სსრ კავშირის საჭადრაკო ფედერაციის პრეზიდიუმმა, განიხილა რა ჩემპიონატის სპორტული და შემოქმედებითი შედეგები, ლევ პოლუგაევსკის (ქალაქი კუიბიშევი), რომელმაც მეხუთე საპრიზო ადგილი დაიკავა, მიანიჭა სსრ კავშირის გროსმაისტერის წოდება ჭადრაკში. პოლუგაევსკი 25 წლისაა, პროფესიით ინჟინერ-ენერგეტიკოსია.

ამავე დროს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამავე ჩემპიონატის ახალგაზრდა მონაწილეს ვლადიმერ ბაგიროვს (ქალაქი ბაქო) მიეკუთვნოს გროსმაისტერის პირველი ბალი. ორი ბალი იძლევა გროსმაისტერის წოდების მიღების უფლებას.

(საკდესი).

◆

## ლატარიის მოგებათა ტირაჟი

**დღეს,** 15 მარტს, დილის 10 საათიდან ქ. ფოთში სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში იწყება საქართველოს სსრ 1960 წლის ფულისა და ნივთების პირველი გამოშვების ლატარიის მოგებათა ტირაჟი, რომელიც ორ დღეს გაგრძელდება.

მოგებათა ტირაჟში გათამაშდება 1 მილიონ 475 ათას 340 მანეთის 16 ათას 500 ნივთმოგება, მათ შორის ავტომანქანები „ვოლგა" და „მოსკვიჩი", საწოლ ოთახის გარნიტურები, პიანინოები, რადიოლები, მაცივრები, ტელევიზორები, სარეცხი და საკერავი მანქანები და სხვ. გათამაშდება აგრეთვე 1 მილიონ 8 ათას 660 მანეთის 73.500 ფულადი მოგება.

ლატარიის ბილეთები დიდი წარმატებით და მოკლე ხანში გაიყიდა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა მოგებათა ტირაჟის ჩამტარებელი კომისია 32 კაცის შემადგენლობით.

კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ფოთის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე რ. ცომაია. ფოთის საბავშვო ბაღმა ტირაჟში მონაწილეობისათვის გამოჰყო 6-7 წლის ასაკის 8 ბავშვი.

მოსახლეობას რომ შესაძლებლობა მიეცეს თვალყური ადევნოს მოგებათა ტირაჟის მიმდინარეობას, ტირაჟის რეპორტაჟი ტრანსლირებულ იქნება რადიოთი, გადაიცემა ტელევიზიით ქ. თბილისში.

**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**

**ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილება სტუდენტთა საყურადღებოდ** აცხადებს, რომ 20 მარტს, 17 აპრილს და 22 მაისს ბათუმის, სოხუმის, ზესტაფონისა და ცხაკაიას სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში, 24 აპრილს და 29 მაისს ქუთაისში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში პედინსტიტუტების, ხოლო ზესტაფონსა და ცხაკაიაში მეორე საშუალო სკოლის შენობებში.

კონსულტაციები გაიმართება სტუდენტთა მიერ ზამთრის სესიებზე მიღებული ცხრილების მიხედვით. ცხრილის გაცნობა შეიძლება აგრეთვე საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთან.

კონსულტაციები ზემოთ ნაჩვენებ დღეებში შეიძლება დაინიშნოს სტუდენტის დაკვეთითაც მისთვის სასურველ საგანში, მხოლოდ ამის შესახებ მან საკონსულტაციო პუნქტის გამგეს უნდა აცნობოს ერთი კვირით ადრე.

კონსულტაციები დაიწყება ქუთაისში დღის 10 საათიდან, ხოლო საკონსულტაციო პუნქტებში — 11 საათიდან.

17 აპრილს კონსულტაციები ნაცვლად ქ. სოხუმისა გაიმართება ქ. ზუგდიდში, პირველი საშუალო სკოლის შენობაში.

---

**გორის № 9 ტექნიკური სასწავლებლის დირექცია**

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის მრთველებისა და მქსოველების მოსამზადებლად.

ტექნიკურ სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე ქალიშვილები 17-დან 25 წლამდე ასაკისა. სწავლების ხანგრძლივობა ერთი წელია. ტექნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდებს უფლება ეძლევათ სწავლა განაგრძონ უმაღლესი სასწავლებლების დაუსწრებელ ან საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე. ახალგაზრდები, რომლებიც ფრიადზე დაამთავრებენ ტექნიკურ სასწავლებელს, უმაღლესი სასწავლებლის დაუსწრებელ და საღამოს დასწრებულ განყოფილებაზე ჩაირიცხებიან კონკურსში მონაწილეობის მიუღებლად. ტექნიკურ სასწავლებელში ახალგაზრდები მიიღებიან უგამოცდოდ. განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: სიმწიფის ატესტატი (დედანი), დაბადების მოწმობა (დედანი), ავტობიოგრაფია, სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 4×5 სმ, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, პასპორტი ამონაწერით.

მეცადინეობა დაიწყება 1960 წლის 1 აპრილიდან. მოსწავლეები სტიპენდიას მიიღებენ საერთო წესით, დაკმაყოფილებული იქნებიან საერთო საცხოვრებელი ბინებით და უფასო კომუნალური მომსახურებით.

განცხადებები მიიღება 30 მარტამდე.

მისამართი: ქ. გორი, ბესიკის ქ. № 1, № 9 ტექნიკური სასწავლებელი, ტელ. № 8-55.

---

**ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი**
**მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში**

24 მარტიდან 1 აპრილამდე
ხუთშაბათს, 24 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
**მძინარე მზეთუნახავი**
პარასკევს, 25 მარტს
ვ. გოკიელი
**წითელქუდა**
შაბათს, 26 მარტს
ა. ბუკია
**დაუპატიჟებელი სტუმრები**
კვირას, 27 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
**მძინარე მზეთუნახავი**
ორშაბათს, 28 მარტს
ლ. გერტელი
**ამაო სიფრთხილე**
სამშაბათს, 29 მარტს
ა. დარგომიჟსკი
**ალი**
ოთხშაბათს, 30 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
**ევგენი ონეგინი**
ხუთშაბათს, 31 მარტს
პ. ჩაიკოვსკი
**გედის ტბა**

დასაწყისი დღის 12 საათზე. ბილეთები იყიდება.

---

**საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათმშენებლობის მრეწველობის სამმართველოს აბაშის მექანიკურ ქარხანას**

ესაჭიროება: ინჟინრები ლითონის ცივად დამუშავების სპეციალობაზე სამუშაოდ.

ცნობებისათვის მიმართეთ — დ. აბაშა, ლენინის ქ. № 24, მექანიკური ქარხანა.

---

**საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ს. ვირსალაძის სახელობის სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს ენტომოლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის საშტატო თანამდებობაზე. თანამდებობაზე მიღებისათვის საჭიროა სტაჟი სამედიცინო ენტომოლოგიაში და მეცნიერების დოქტორის ან კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის პირი, სამეცნიერო ხარისხის დიპლომის პირი, ორივე ნოტარიალურად შემოწმებული, ავტობიოგრაფია, დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, მეცნიერული ნაშრომების სია და ორი ფოტოსურათი.

განცხადება მიიღება ორი კვირის განმავლობაში ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 139.

---

## 15 მარტი

**თბილისის თეატრებსა და კინოებში**

**რუსთაველის სახელობის** — ჰამლეტი, **გრიბოედოვის სახელობის** — ირკუტსკის ისტორია (მე-2 აბონ., მე-7 წარმ.), **მუსიკალური კომედიის** — ჰირველული ქმრის მორჯულება (1-ლი აბონ. მე-2 სპექტ. სომხური დრამის თეატრში), **სანკულტურის** — არეული დღე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ჯადოსნური ხილაბანდი (აბონ. № 24, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ჩექმებიანი კატა (11 ს.), ყურშა (4 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული**—საიდუმლო კუნძული (5 ს.).

* * *

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი** — ყველაფერი გზიდან იწყება, **ისანი** — ნახტომი უფსკრულზე, **სპარტაკი, კომკავშირელი** — მეზღვაური ნაპირზე გადმოდის, **26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **კოლმეურნე** — ნასრედინი ხოჯენტში, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — ფარაჯა, **საქართველო** (მწვანე დარბაზი) — გრიგოლ სკოვოროდა, **გორკის სახელობის კულტურის სახლი** — საზღვარგარეთული მხატვრული ფილმი, **თბილისი, კოლხიდა, ოფიცერთა სახლი, დიდუბე, ყაზბეგი** — თეთრი ღამეები, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზამთრო) — პროცესი გადადებულია.

* * *

**ტელევიზია**

19.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „ვ. ი. ლენინის დღეებისათვის" (სტუდიაში საგარეჯოს რაიონის სოფ. ხაშმის სკოლის პიონერ-აქტივისტები), 19.15 — კინოჟურნალი, 19.25 — საერთაშორისო მიმოხილვა, 19.40 — კინონარკვევი, 20.00 — კონცერტი, 20.30 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 20.50 — უკანასკნელი ცნობები, 21.00 — მხატვრული ფილმი „მეორე ქალი და მწყემსი".

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-81-65, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3-57-61, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, მეცნიერების, უმაღლესი და საშუალო სკოლების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, წერილებისა და პარტბიუროსი — 3-73-24, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, მუშსოფლკორთა კაბინეტის — 3-08-67, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების მიღებისა — 3-64-42, გამომშვების — 3-06-88.

უე 01574 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.